პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 (11916)
სამშაბათი, 3 იანვარი, 1961 წ.

ფასი 2 კაპ.

# ახალი წლის შეხვედრა კრემლში

31 დეკემბერს ღამით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ ახალი წლის შეხვედრა მოაწყო კრემლში.

ახალი წლის შეხვედრაში მონაწილეობდნენ მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები, მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, წარმოების მოწინავეები.

სტუმრებს შორის იყვნენ უცხოელი დიპლომატები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ გიორგის დარბაზში შემოსულ საბჭოთა ხელმძღვანელებს ამხანაგებს **ა. ბ. არისტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, ნ. გ. იგნატოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ო. ვ. კუუსინენს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს.**

ღამის თორმეტ საათამდე ცოტა ხნით ადრე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა განვლილი წლის სადღეგრძელო.

— „რა გინდ კარგი ყოფილიყო ძველი წელი, — ამბობს იგი, — ახალი 1961 წელი კიდევ უკეთესი იქნება“.

როცა 1960 წლის უკანასკნელი წუთებიღა დარჩა, მთელ მსოფლიოში გაისმა მოსკოვის რადიოს ხმა. გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხისადმი.

კრემლის კურანტებმა მაცხოვრის კოშკზე შუაღამე გვამცნო. ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

შეხვედრის მონაწილეთ ახალი სადღეგრძელოთი მიმართავს ნ. ს. ხრუშჩოვი. იგი ამბობს:

— ძვირფასო ამხანაგებო!
მეგობრებო!
ბატონებო!

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა ელჩების სადღეგრძელო, რომელნიც თავიანთი მთავრობების წარმომადგენელნი არიან ჩვენს ქვეყანაში, ხალხთა მეგობრობის, ქვეყნებსა და მთავრობებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების სადღეგრძელო, რათა უზრუნველყოფილი იყოს სახელმწიფოთა ნამდვილი მშვიდობიანი თანაარსებობა, უზრუნველყოფილი იყოს მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

ყოველი ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური წყობილების საკითხები ამ ქვეყნების ხალხთა საშინაო საქმეა. ჩვენ ჩვენი სოციალისტური წყობილება საუკეთესო წყობილებად მიგვაჩნია, მაგრამ თავს როდი ვახვევთ მას სხვა ხალხებს. ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით ყველა ხალხს და იმის მომხრე ვართ, რომ თვითეული ხალხი თვითონ წყვეტდეს, თუ რომელი წყობილება ჯობს მისთვის.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ ახალი წელი ბედნიერი იქნება. ტრადიციით ყველა ქვეყნის ადამიანები ახალ წელს რომ ეგებებიან, ამბობენ: მოგილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ახალ ბედნიერებას, რა არის ბედნიერება? ყოველ ადამიანს უწინარეს ყოვლისა ბედნიერებად მიაჩნია ის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მტკიცე მშვიდობა დედამიწაზე, რომ ადამიანები ცხოვრობდნენ და შრომობდნენ მშვიდობიან ვითარებაში, არ აშინებდეთ გამანადგურებელი ომის საფრთხე.

საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს, რათა მეგობრულად იყოს ყველა ქვეყანასთან, მაგრამ ვფიქრობ ვერავინ მისაყვედურებს, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რადგან ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ბევრად არის დამოკიდებული მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესება.

გვინდა გვჯეროდეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ესწრაფვიან ამას, და იმედი გვაქვს, რომ ახალი პრეზიდენტის მოსვლას მოჰყვება ახალი სიო, გაიწმინდება არაჯანსაღი ატმოსფერო საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში. ჩვენი სურვილია, რომ ძველი წლის, ძველი პრეზიდენტის წასვლასთან ერთად წარსულს ჩაბარდეს ჩვენი ცუდი ურთიერთობაც ამერიკის შეერთებულ შტატებთან. კარგად არის ცნობილი, რომ ეს ურთიერთობა განსაკუთრებით გაუარესდა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების ჯაშუშურ ფრენასთან დაკავშირებით, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა წინასწარგანზრახულ პოლიტიკად გამოაცხადა საბჭოთა კავშირის მიმართ. მაგრამ ამ პროვოკაციულ პოლიტიკას მხარი არ დაუჭირა ამერიკელმა ხალხმა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამერიკელმა ხალხმა, ხმა მისცა რა ბ-ნ კენედის, ბ-ნ ნიქსონის წინააღმდეგ, დაგმო „ცივი ომის“ გაღვივების, საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავების პოლიტიკა.

წინასაარჩევნო კამპანიის დროს ბ-ნმა კენედიმ თქვა, მე რომ ვყოფილიყავი პრეზიდენტის ადგილას სინანულს გამოვთქვამდი საბჭოთა მთავრობის მიმართ „უ-2“ თვითმფრინავის ფრენასთან დაკავშირებითო. ჩვენი სურვილია, რომ ძველი პრეზიდენტის წასვლის შემდეგ ეს სავალალო ინციდენტი წარსულში დარჩეს, და ვფიქრობ, რომ არ უნდა დაუბრუნდნენ მას. ვითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, ჩვენ, როგორც ჩანს, არ უნდა მოვითხოვოთ დაჟინებით ამ საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე, რათა ცუდი წარსულით ხელი არ შევუშალოთ კარგი მომავლის იმედს. გვინდა გვჯეროდეს, რომ ჩვენს მისწრაფებას ურთიერთობის გაუმჯობესებისადმი სწორად გაიგებს როგორც ამერიკელი ხალხი, ისე ახალი პრეზიდენტი.

ნებას მივცემ თავს გამოვთქვა იმედი, რომ ახალ წელს ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ახალ ფურცელს გადაშლიან თავიანთ ურთიერთობაში იმ მიზნით, რომ ამან ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას, ყველა სახელმწიფოს ურთიერთობის გაუმჯობესებას, და მაშასადამე, დიადი მიზნის მიღწევას, რომელსაც ესწრაფვის ყველა ხალხი — მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

გაუმარჯოს სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას!

გაუმარჯოს მშვიდობასა და ყველა ხალხის მეგობრობას!

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სადღეგრძელო დიდი ყურადღებით მოისმინეს შეხვედრის მონაწილეებმა და არა ერთხელ დაუკრეს ტაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა აგრეთვე გამარჯვება უსურვა გმირ მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა ინტელიგენციას, ყველა ხალხის ძმურ თანამშრომლობას, მეგობრობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მუშათა კლასის ტვინს, საბჭოთა პროფკავშირებს, კომკავშირს, საბჭოთა ქალებს, სახელოვან საბჭოთა არმიას.

შეხვედრის დროს სადღეგრძელო წარმოთქვა მოსკოვში დიპლომატიური კორპუსის მეთაურმა, შვეციის ელჩმა როლფ რ. სულმანმა.

ახალი წლის შეხვედრის მონაწილეთათვის დიდი კონცერტი გაიმართა.

ახალი წლის შეხვედრა კრემლში გვიან ღამემდე გაგრძელდა. (საქდესი).

# რუსთაველ მეტალურგთა

## შრომითი გამარჯვება

ა. ფანცულაია.

ი. ტაბატაძე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში რუსთაველმა მეტალურგებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს — მათ 1961 წლის 25 თებერვალს ჩვენი ქვეყნისათვის გეგმის გადამეტებით უნდა მიეცათ ათასობით ტონა თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და მილები.

ქარხნის წარმოების მუშაკებმა ვადაზე თითქმის ორი თვით ადრე — 29 დეკემბრისათვის შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვების წლიური საწარმოო პროგრამა 1960 წლის 11 დეკემბერს გაანაღდეს. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების შედეგად შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია 17 მილიონ მანეთზე მეტი, დაზოგილია 9 მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების ტექნიკური კულტურის ამაღლების, კადრების ზოგად-საგანმანათლებლო და ტექნიკური მომზადების გაუმჯობესების დარგში ნაკისრი ვალდებულებანი.

მიღწეულ წარმატებას ხელი შეუწყო მეფოლადეთა, მებრძმედეთა, მგლინავთა, საწარმოს მთელი კოლექტივის გმირულმა შრომამ. მარტო მარტენის № 1 ღუმელმა, რომელსაც სახელგანთქმულ ოსტატთა — ა. ფანცულაიას, გ. ბერეკაშვილის, ი. ტაბატაძისა და ზ. ყაველაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადები ემსახურებიან, დავალების გადამეტებით გამოუშვა ათასობით ტონა ფოლადი. სამშობლოს ასობით ტონა ზეგეგმითი პროდუქცია მისცეს კომუნისტური შრომის ბრიგადებმა, რომლებსაც ა. ძამაშვილი, ნ. კურატაშვილი, პ. ბენდიაშვილი და რ. რიჟამაძე ხელმძღვანელობენ. (საქდესი).

გ. ბერეკაშვილი.

ზ. ყაველაშვილი.

## გმირობა მიენიჭათ

თვალსაჩინო წარმატებებისათვის, ცხელი უდაბნოს მეტად ძნელ პირობებში წყალთა მეურნეობის მშენებლობის მოწინავე გამოცდილების ფართოდ გამოყენებისა და ყარაყუმის არხის მშენებლობაზე გამოჩენილი შრომითი გმირობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა ტაჩმურად **ბიაშიმოვს** — „ყარაყუმჰიდრომშენის“ სამმართველოს მემანქანე-მეექსკავატორეს, და ბითდი **იაზმუხამედოვს** — „ყარაყუმჰიდრომშენის“ სამმართველოს მებულდოზერეს,

# სკოლას—ჩვენი ზრუნვა!

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში

★

ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ განიხილეს საკითხი 1960-61 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

რესპუბლიკის მშრომელები და სახალხო განათლების მუშაკები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ გორის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მოწოდებას — უზრუნველყოთ 1960-1961 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების ყოველმხრივ მომზადება და სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის განხორციელების საქმეში. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. 1960 წელს რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა ბევრი ახალი, კეთილმოწყობილი შენობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკაში დასახულია და ხორციელდება სასკოლო მშენებლობის კონკრეტული პროგრამა.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა სახსრებითა და საშუალებებით გასულ წელს რესპუბლიკაში აშენდა 44 სკოლის, ერთი სკოლა-ინტერნატის, ოთხი ბაგა-ბაღის ახალი შენობა. არსებულ სასკოლო შენობებს მიაშენეს და დააშენეს 203 ოთახი. სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის აიგო 10 საცხოვრებელი სახლი.

სერიოზული მუშაობაა გაწეული საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისათვის, სასწავლო ნივთებით, სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინო მასალებითა და ინვენტარით სკოლების უზრუნველყოფისათვის, მასწავლებელთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. ბევრ სკოლაში მოეწყო სახელოსნოები, სასწავლო კაბინეტები შეივსო ახალი ხელსაწყოიარაღებით.

გასული წლის ზაფხულის პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობა უფრო ორგანიზებულად და მიზანდასახულად იყო ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი მოსწავლეებში შრომითი ჩვევების გამომუშავებას. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შექმნილ საწარმოო ბრიგადებში მოსწავლეებმა 1960 წელს გამოიმუშავეს 900 ათასზე მეტი შრომადღე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ აღნიშნეს, რომ 1960-1961 წლისათვის რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მოსამზადებლად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწიეს ქობულეთის რაიონის მშრომელებმა. გასულ წელს კოლმეურნეობებმა და შეფმა ორგანიზაციებმა თავიანთი სახსრებით რაიონში ააშენეს 5 ახალი სასკოლო შენობა, ხოლო 3 სასკოლო შენობას მალე დაამთავრებენ. არსებულ სასკოლო შენობებს მიაშენეს და დააშენეს 15 ოთახი, 62 სკოლის შენობას გაუკეთეს კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. ამ ღონისძიებებისათვის დაიხარჯა 11 მილიონი მანეთი.

ამასთან ერთად მიმდინარე სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც.

კაპიტალური და მიმდინარე რემონტის გეგმა არ შეუსრულებიათ აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ქ. ჭიათურას, ახალქალაქის, ვანის, გეგეჭკორის, დუშეთის, ლენტეხის, მარნეულის, საჩხერის და სხვა რაიონებს. დგამ-ავეჯის დამზადების გეგმა ვერ შეასრულეს აჭარის ასს რესპუბლიკამ, ქ. ფოთმა, ქარელის, კასპის, ყვარლის, მესტიის, თიანეთის, წულუკიძის და სხვა რაიონებმა.

ცაგერის, წალენჯიხის, ყაზბეგის ბოლნისის, თეთრი წყაროს, მცხეთისა და ზოგიერთმა სხვა რაიონმა ვერ შეასრულა სახალხო მეურნეობის გეგმა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან სწავლებაში სასკოლო ასაკის ბავშვთა ჩაბმის შესახებ.

**1960-1961 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების მომზადების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის ქობულეთის რაიონს კვლავ მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ აღნიშნეს, რომ სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და მიმდინარე სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად თვალსაჩინო მუშაობაა შესრულებული **ქ. ქუთაისში, მახარაძის, გორის, ზუგდიდის, სიღნაღის, ბათუმის, ლანჩხუთის, თელავის, გურჯაანის, ჩოხატაურის და სხვა რაიონებში.**

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს, პროფკავშირის საქალაქო, რაიონულ და ადგილობრივ კომიტეტებს დაევალათ უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მოპოვებულ წარმატებათა შენარჩუნება და სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზის შემდგომი გაუმჯობესება. (საქდესი).

### მის აღმატებულებას დოქტორ

## ფიდელ კასტრო რუსს

### კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

ქ. ჰავანა,

საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად ჩემი სახელით უაღრესად გულწრფელად გილოცავთ თქვენ, პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო, და თქვენი სახით სახელოვან კუბელ ხალხს ღირსშესანიშნავ თარიღს კუბის რესპუბლიკის ცხოვრებაში — კუბის სახალხო რესპუბლიკის გამარჯვების მე-2 წლისთავს, აგრეთვე ახალ წელს.

კუბელი ხალხი თავისი რევოლუციური მთავრობის მეთაურობით დიდი პატრიოტული და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებება თავისი არსებობის მესამე წელს, როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო. ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, აღტაცებული ვართ ყველა კუბელი პატრიოტის სიმამაცით, გმირობით და ენთუზიაზმით, რომლებმაც ბრძოლა გაუმართეს რეაქციის ძალებს და დაუმტკიცეს იმპერიალისტ მტრებს, რომ არის მსოფლიოში ისეთი უძლეველი ძალა, როგორიცაა ხალხის ერთიანობა და მისი სიყვარული სამშობლოსადმი, რამაც დიდ ხალხად გადააქცია პატარა კუბის ხალხი.

გმირმა კუბამ უკვე შეიტანა ფასდაუდებელი წვლილი იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო საქმეში. მისი წარმატებები მთელი მსოფლიოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებებია.

მე დიდი სიამოვნებით ვიგონებ ჩვენს გულითად შეხვედრებსა და გულწრფელ საუბრებს ნიუ-იორკში ჩვენი ქვეყნების ძმური მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების შესახებ, ჩვენი ღონისძიებების გაერთიანების შესახებ დედამიწაზე მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხი აფასებს მეგობრობის, ნდობისა და ხელსაყრელი თანამშრომლობის ურთიერთობით, რომელიც ასე ნაყოფიერად ვითარდება ჩვენს ქვეყნებს შორის. კუბელ ხალხს შეუძლია მუდამ იქონიოს საბჭოთა ხალხის სოლიდარობისა და მხარდაჭერის იმედი თავისი დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის ბრძოლაში.

დაე ახალი წელი კუბის რესპუბლიკის ცხოვრებაში იყოს ახალ შესანიშნავ წარმატებათა წელი სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში. დაე ახალი წელი აღინიშნოს ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებით, რომლებიც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა მხარდამხარ იბრძვიან პროგრესისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის დედამიწაზე.

ახალ წელს გულითადად გისურვებთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, პირად ბედნიერებას, ჯანმრთელობასა და წარმატებებს თქვენს დაუცხრომელ მოღვაწეობაში კუბელი ხალხის კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

**ნ. ხრუშჩოვი.**
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.
მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 31 დეკემბერი.

# ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### შ. ი. ჰანუყვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. შოთა ილარიონის-ძე ჰანუყვაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი, 1961 წლის 2 იანვარი,

### დეპეშა

## ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

**მოსკოვი**, 31 დეკემბერი. (საქდესი). ყამირის მხარის პირველი პარტიული კონფერენციის დელეგატებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მგზნებარე კომუნისტურ სალამს უთვლიან და უსურვებენ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ცხოვრებამ გვიჩვენა, წერენ დელეგატები, თუ რა ბრძნული და შორსმჭვრეტელი იყო, ნიკიტა სერგის-ძევ, თქვენი ინიციატივით მიღებული ისტორიული გადაწყვეტილება ყამირი და ნასვენი მიწების დიდი მასივების ათვისების შესახებ. მარტო ჩვენი მხარის რაიონებში ათვისებულია 18 მილიონი ჰექტარი ახალი მიწა. ახლა ყამირის მხარე გადაიქცა ჩვენი ქვეყნის უდიდეს ბეღლად. ყამირის ათვისებამდე შვიდი წლის მანძილზე რესპუბლიკის ჩრდილო ოლქებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 410 მილიონი ფუთი პური, ხოლო ყამირის ათვისების შემდეგ ასეთივე ვადაში მათ ჩვენს ქვეყანას მისცეს 3 მილიარდი ფუთი მარცვლეული.

ჩვენ კარგად გვესმის, ნათქვამია დეპეშაში, რომ ჯერ კიდევ ცოტა რამ გაკეთდა. ყამირის რეზერვებისა და შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენება ჩვენი მხარის მთელი პარტიული ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა.

ამ მხარის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით კონფერენციის დელეგატები აღუთქვამენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, რომ ყამირის მხარე უახლოეს ხანში გადაიქცევა დიდად განვითარებული მრეწველობის, დიდი პურის, ხორცის, მატყლისა და რძის მხარედ. ემზადებიან რა ღირსეულად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს, ყამირის მხარის მშრომელები რაზმავენ მთელ თავიანთ ძალღონეს იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი, აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას შვიდწლედის მესამე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის,

## გულითადი მილოცვა მურმანსკის ოლქის მშრომელებისადმი

**მოსკოვი**, 30 დეკემბერი. (საქდესი). სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს მურმანსკის ოლქის მეზღვაურებს, თევზის მრეწველობის მუშებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს, მებადურთა კოლმეურნეობების წევრებს და ყველა მშრომელს შრომითი გამარჯვება — წლიური გეგმისა და 1960 წელს თევზის ზეგეგმითი ჭერის სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება.

მურმანსკის მშრომელები თავიანთ პატაკში დიდი სიხარულით იუწყებიან, რომ თავდადებული შრომის შედეგად მურმანსკის თევზსარეწი აუზის მებადურებმა წლიური გეგმა შეასრულეს ვადამდე — 18 ნოემბერს, ხოლო 7 დეკემბერს — გეგმის გადამეტებით 200 ათასი ცენტნერი თევზის ჭერის სოციალისტური ვალდებულება. გემების კოლექტივებს შორის შეიქმნენ და განმტკიცდნენ კომუნისტური შრომის ასობით ბრიგადები, ცვლები, ვახტები და ეკიპაჟები.

## ვ. ი. ლენინის ძეგლის საკონკურსო პროექტების განხილვა

გაიმართა ვ. ი. ლენინის ძეგლის, (რომელიც მოსკოვში აიგება) საუკეთესო პროექტისათვის კონკურსის ჟიურის საბჭოს საბოლოო სხდომა. კონკურსზე 16 პროექტი წარმოადგინეს მოსკოველმა, ლენინგრადელმა და კიეველმა მოქანდაკეებმა. ცნობილ ოსტატებთან ერთად ამ პროექტების შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ნიჭიერმა საბჭოთა ახალგაზრდობამაც.

ცალკეული ნამუშევრის ავტორმა შეძლო მიახლოებით გადაეწყვიტა ქალაქმშენებლობის ამოცანები და შეექმნა დიდი ლენინის — ადამიანის, ხალხის საქმისათვის მებრძოლის, ტრიბუნის, ბელადის სახე.

კონკურსის ჟიურიმ ყურადღებით განიხილა ყველა პროექტი და შეაფასა მათი სკულპტურულ-არქიტექტურული გადაწყვეტა.

## ახალი წარმატება

შავი მეტალურგიის მუშაკებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის ივლისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით, შვიდწლედის მეორე წელს ახალი წარმატებანი მოიპოვეს შავი მეტალურგიის განვითარებაში და წლიური გეგმა, რომელიც დადგენილი იყო უფრო მაღალ დონეზე, ვიდრე გათვალისწინებული იყო შვიდწლიანი გეგმის დავალებით 1960 წლისათვის, წარმატებით შეასრულეს 30 დეკემბერს მთელი მეტალურგიული ციკლის მიხედვით — თუჯის, ფოლადის გამოდნობა, ნაგლინის წარმოება. გასულ წელს თუჯის გამოდნობა შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 3,8 მილიონი ტონით, ფოლადისა — 5 მილიონი ტონით და მეტით, ნაგლინის წარმოება — თითქმის 4 მილიონი ტონით.

## ბრძოლები ლაოსში

**ჰანოი**, 1 იანვარი. (საქდესი). გუშინ ლაოსის მეფის მთავრობის ჯარებმა კაპიტან კონგ ლეს სარდლობით დაიკავეს მთელი ხეობა ლაოსის ჩრდილოეთ ნაწილის სიენგ-კუანგის პროვინციის სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვან რაიონში. მანამდე, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, მეფის ჯარებმა დაიკავეს მუონგ კსუი, 34 კილომეტრზე ხეობის დასავლეთით.

ხეობის ცენტრალური ნაწილისათვის ბრძოლაში მეამბოხეთა ბევრი ჯარისკაცი დანებდა, ხოლო სხვები გაიქცნენ ქალაქ სიენგ-კუანგის მიმართულებით. მთავრობის ჯარები დევნიან მოწინააღმდეგეს.

გუშინ რადიომ „პატეტ-ლაოს ხმამ“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ პატეტ-ლაოს მეორე ბატალიონმა გაანადგურა ფუმინოსავანის მეამბოხეთა ბატალიონი და გაანთავისუფლა ქალაქი ნონგ-ხეტი.

ფუმის ჯარების ნაშთები გაიქცნენ. პატეტ-ლაოს ჯარები და ადგილობრივი პარტიზანები და მოლაშქრენი, რომლებიც მათ ეხმარებიან, დევნიან მოწინააღმდეგეს.

**ლონდონი**, 1 იანვარი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლაოსიდან იუწყება, დღეს მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სიენგ-კუანგი.

## კუბის დიპლომატიური ურთიერთობა

**ჰავანა**, 2 იანვარი. (საქდესი). კუბის მინისტრთა საბჭომ მიიღო დეკრეტები დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, მონღოლეთთან, ალბანეთთან, უნგრეთსა და მალის რესპუბლიკასთან.

## მდგომარეობა კონგოში

**ლონდონი**, 1 იანვარი. (საქდესი). ხუთი თვითმფრინავი მობუტუს პარაშუტისტებით გაფრინდა გუშინ ლულუაბურგიდან კივუს პროვინციაში და ბელგიის სამეურნეო ტერიტორია რუანდა-ურუნდიში, იუწყება რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლულუაბურგიდან.

რაზმს, რომელიც უსუმბურის (რუანდა-ურუნდი) აეროდრომისაკენ წავიდა, მეთაურობს ვინმე კაპიტანი სატუ, რომელსაც ახლავს მობუტუს ერთ-ერთი უახლოესი ხელქვეითი დაზვერვის შეფი ჟილბერ პონგო.

კონგოელ მეამბოხეთა მეთაურს მობუტუს განზრახული აქვს ამრიგად სამხედრო ძალით დაამყაროს თავისი რეჟიმი კივუს პროვინციაში. ამ პროვინციის მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ლუმუმბას კანონიერ მთავრობას და ფუშავს სტენლივილზე მობუტუს ბანდების დაუყოვნებლივი სამხედრო გალაშქრების გეგმას, რისთვისაც მათ საყრდენ პუნქტებად უნდა გამოეყენებინათ ქალაქი ბუკავუ (კივუს პროვინცია) და ქალაქი კოკიავილი (ეკვატორიული პროვინცია).

როგორც დეპეშათა სააგენტოების ცნობებიდან ჩანს, მობუტუ ახორციელებს მისი „მრჩევლების“ მიერ შემუშავებულ გეგმას, რომლის მიხედვით რუანდა-ურუნდის ტერიტორია უნდა გამოიყენონ კივუს პროვინციაში იმ ჯარებზე თავდასხმისათვის, რომლებიც კანონიერი მთავრობის ერთგულნი არიან.

**პარიზი**, 2 იანვარი. (საქდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ საღამოს ქალაქ ბუკავუს (კივუს პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი) მახლობლად სროლა იყო მობუტუს პარაშუტისტებსა და ლუმუმბას კანონიერი მთავრობისადმი ერთგულ ჯარებს შორის.

# ნ. მანუკოვსკი მოუწოდებს:

## განვაგრძოთ შეჯიბრება, ამხანაგო მექანიზატორებო!

**მტკიცედ** და სიხარულით, ძალღონით აღსავსენი შევეგებეთ ახალ წელს. შესანიშნავი საქმეებით აღინიშნა 1960 წელი. მან ბევრი დიდი წარმატება მოგვიტანა. ბევრი სასიხარულო დღე განიცადეს ვორონეჟის ოლქის ნოვაია უსმანის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმაც. 1960 წელს რომ ვეგებებოდით, პირველად შევქმენით ჩვენს კოლმეურნეობაში კომპლექსური სატრაქტორო ბრიგადა: 33 მექანიზატორის ხელში მოიყარა თავი კოლმეურნეობის ტექნიკამ. ჩვენ მოგვიჩინეს 2.500 ჰექტარი მიწა, გადმოგვცეს ყველა საჭირო მანქანა. სპეციალისტები დაგვეხმარნენ ყოველი კულტურის მოყვანის ტექნოლოგიური ქარტების შედგენაში. და საქმეც წინ წავიდა.

შარშან შევძელით მთლიანად მოგვეხდინა არა მარტო სიმინდის, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა კულტურების მოყვანის მექანიზაცია. ეს შესამჩნევად დაეტყო მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესებას. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ბრიგადამ შეასრულა თავისი ვალდებულება: თითოეულ ჰექტარზე მოვიწიეთ 130 ფუთი მარცვლეული. ჰექტარზე მოვიდა 360 ცენტნერი ნედლი ჩალა და 30 ცენტნერი მარცვალი სიმინდი. მაგრამ ჩვენ შევუდექით შრომის მექანიზაციას არა მარტო მემინდვრეობაში, არამედ მეცხოველეობის ფერმებშიც. ეს ჩვენთვის ახალი, უჩვეულო საქმეა. დიდი გულმოდგინებით შევუდექით მას. ზოგიერთ მექანიზატორს მოუხდა ხელახლა ესწავლა, დაეუფლებოდა მეცხოველეობის პროფესიებს.

მეღორეობის ფერმაში მოწყობილია მექანიზებული საკვებსაამქრო. იქ დგას ახალი მანქანები, დამონტაჟებულია მექანიზებული საკვებსარიგებელი. სავსებით მექანიზებულია ისეთი შრომატევადი პროცესები, როგორიცაა საკვების მომზადება და დარიგება. თუ წინათ საკვების დარიგებას 4-5 საათი სჭირდებოდა, ახლა ვაკუუმური საკვებურების ავსებაზე 40-45 წუთი იხარჯება. ფერმის მექანიზაციამდე გასუქების საქმეზე 16 კაცი მუშაობდა. ახლა ამ მუშაობას ოთხი კაცი ართმევს თავს.

დიდი ცვლილებანი მოხდა სარძეო სასაქონლო ფერმაშიც. სადღაა ხელით წველა. იგი შეცვალა ელექტროსაწველმა აპარატებმა. ახლა ერთი მწველავი 10-12 ძროხას კი არ უვლის, როგორც წინათ იყო, არამედ 50 ძროხას. 20 მწველავის ნაცვლად ფერმაში მხოლოდ 5 კაცი მუშაობს. კომპლექსურმა მექანიზაციამ ხელი შეუწყო შრომის ხარჯების შემცირებას. რძის თვითღირებულება ერთიორად შემცირდა, ხოლო ხორცისა — თითქმის 2,5-ჯერ.

სასიხარულოა იმის შეგნება,

**ПРАВДА**

რომ ჩვენს გამოცდილებას კომპლექსური მექანიზაციის დანერგვაში ასობით და ათასობით მექანიზატორი ეუფლება. ახლა უკვე იშვიათია ისეთი ოლქი, რომელსაც არ ჰქონდეს სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის შესანიშნავი მაგალითები. ჩვენი მაგალითის მიხედვით, ვორონეჟის ოლქში შექმნილია კომპლექსური მექანიზაციის 50-ზე მეტი სატრაქტორო ბრიგადა, ეწყობა 150 მექანიზებული ფერმა.

ზოგიერთი მექანიზატორი არა მარტო სწავლობს და იზიარებს ჩვენს გამოცდილებას, არამედ უფრო შორს მიდის. მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს ვორონეჟელი ტრაქტორისტების დიმიტრი კოსენკოს და თევდორე ბონდარენკოს შესანიშნავ თაოსნობას (ვორობიოვკის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი მაისი"). მათ ორივემ მოიყვანეს 26 ათასი ცენტნერი ჰარხალი. სახელი და დიდება ამ შესანიშნავ ნოვატორებს.

ბევრი რამ გაკეთდა და მაინც ეს მხოლოდ დასაწყისია დიდი მუშაობისა. კომპლექსური მექანიზაცია ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხვალინდელი დღეა. ჩვენ ამოცანად ვისახავთ კომპლექსური მექანიზაციის მეურნეობად გადავაქციოთ ჩვენი კოლმეურნეობა და ამას კიდევაც მივაღწევთ.

იანვარში შეიკრიბება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ჩვენ მოუთმენლად ველით მის გახსნას.

დიდ იმედს ვამყარებთ შვიდწლედის მესამე წელზე. იგი უნდა გახდეს სასოფლო სამეურნეო წარმოებაში ტექნიკის შემდგომი მასობრივი დანერგვის წელი. დაე ყველგან, სადაც კი შეიძლება, ადამიანი მანქანამ შეცვალოს, გაიზარდოს და გამრავლდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორთა სახელოვანი არმია.

ახალი წლის ამ დიდმნიშვნელოვან დღეებში უაღრესად გულთბილ, გულითად სალამს ვუძღვნი და ყოველივე სიკეთეს ვუსურვებ ჩემს მეგობრებს — პარტნიორებს შეჯიბრებაში: წარჩინებულ უკრაინელ ნოვატორს ალექსანდრე ვასილის ძე გიტალოვს, კრასნოდარის მხარის ნოვაია ტიტაროვკის რაიონის კოლმეურნეობა „ყუბანის" კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს გაბრიელ კუზმასძე უსატის, ქართველ მექანიზატორებს მიხეილ გიბიშვილსა და გიორგი თინაშვილს, კრასნოიარსკის მხარის მინუსინსკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირს მიხეილ ფილიპოვს. მოდით მეგობრებო, განვაგრძოთ ჩვენი ცოცხალი, შემოქმედებითი შეჯიბრება 1961 წელს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის აღმავლობაში მოპოვებული ახალი მიღწევებით გავახაროთ საყვარელი სამშობლო, მშობლიური კომუნისტური პარტია, ჩვენი საბჭოთა მთავრობა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

**ნ. მანუკოვსკი,**
**კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.**

ვორონეჟის ოლქი.

## თეორიული კონფერენცია

ამ დღეებში პარტიის თერჯოლის რაიკომმა გამართა თეორიული კონფერენცია თემაზე: „ვინც არ მუშაობს, ის არც ჭამს". მოხსენებით გამოვიდა თერჯოლის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. შ. ვერულაშვილი. ს. თურქაძემ, ვ. რობაქიძემ, ა. ლიბრაძემ, გ. კიკნაძემ, ვ. ნემსაძემ, ა. გველესიანმა წაიკითხეს შემდეგი თანამოხსენებები: „თავისი შრომის შედეგებით წარმოების მუშაკის მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპი"; „შრომისადმი მატერიალური და მორალური სტიმულების შეხამება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში"; „საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამება სოციალიზმის დროს"; „სწავლების შრომასთან შეერთება და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა ახალგაზრდობაში"; „კომუნისტური შრომის ბრიგადის მუშაობის გამოცდილება"; „შრომისათვის თავის ამრიდებელთა წინააღმდეგ ბრძოლა რაიონში".

სიტყვით გამოვიდა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტეკონომიის კათედრის გამგე, დოცენტი რ. წულუკიძე.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კპ თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. სახეჩიძემ,

**ი. კუტალაძე.**

## ახალი ელექტრონული ხელსაწყოები

**ქუთაისის** სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ შეიმუშავა რამდენიმე ახალი ელექტრონული ხელსაწყო ჩაის ტენიანობის ექსპრესული კონტროლისათვის მისი დამუშავების სხვადასხვა სტადიებში.

ხშირად ჩაის ფოთოლი, რომელიც მოაქვთ ფაბრიკების მისაღებ პუნქტებში, წვიმით ან ნამითაა დასველებული. ტენიანობის პროცენტის სწორი შეფასებისათვის შექმნილია ხელსაწყო, რომელიც განსაზღვრავს ჩაის ფოთლის ზედაპირის ტენიანობას. ეს ხელსაწყო საშუალებას იძლევა ტენიანობა გაზომონ 3-4 წუთში, მისი გამოყენება არ მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და იძლევა მაჩვენებელთა საჭირო სიზუსტეს.

ჩაის შინაგანი ტენიანობის განსაზღვრისათვის, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიური პროცესის შემდგომი წარმოებისათვის, შექმნილია ახალი ხელსაწყო. ეს ტენსაზომი ემყარება ინფრაწითელ გახმობას და საშუალებას იძლევა ანალიზი მოხდეს 15 წუთში.

ნახევრად ფაბრიკატისა და მზა ჩაის ტენიანობის განსაზღვრის მეთოდი, რომელსაც ამჟამად გამოიყენებენ, შესაძლებლობას არ აძლევს ტექნოლოგებს დროულად მოახდინონ გავლენა ტექნოლოგიურ პროცესზე. ანალიზისათვის საჭიროა უკეთეს შემთხვევაში ორი-სამი საათი. ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად შემუშავებულია მესამე ხელსაწყო — ჩაის ელექტრონული ტენსაზომი, რომელშიც გამოყენებულია ელექტრონიკისა და ნახევრადგამტარი ტექნიკის უკანასკნელი მიღწევანი.

ჩაის ტენიანობის განსაზღვრის ახალი ხელსაწყოები ხელს უწყობენ ჩაის ეკონომიასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. (საქინფორმი).

## პროდუქტების სიუხვისათვის

**თეთრი წყარო,** 31 დეკემბერი. (საქინფორმი). ახალი წლის, შვიდწლედის მესამე წლის დაწყების მიჯნაზე შეაჯამეს თეთრი წყაროს რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა თავიანთი ნაყოფიერი შრომის შედეგები. რა საამაყო წარმატებებს მიაღწიეს მათ! დიდად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ამაღლდა სოფლის მეურნეობის მთელი რიგი კულტურების მოსავლიანობა. რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიყიდეს 2.661 ტონა ხორცი. ეს ორნახევარჯერ და კიდევ უფრო მეტია გეგმასთან შედარებით, ხოლო მნიშვნელოვნად მეტი, ვიდრე აღებული ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

რაიონმა გეგმის გადაჭარბებით სახელმწიფოს მიყიდა 1.100 ტონა რძე და ნახევარ მილიონზე მეტი კვერცხი.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მატყლის, ყურძნის, ხილის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები.

# ახალი ფული

**სიხარულით** და ხალისით შეხვდნენ მშრომელები ახალ წელს. იგი კომუნიზმის მშენებელთა დიად საქმეებს გვიწინასწარმეტყველებს.

მას თითქოს მხარდამხარ მიჰყვება ახალი საბჭოთა მანეთიც. იგი საგრძნობლად გაიზარდა და განმტკიცდა. ამიტომაც ჩვენი ადამიანები პირველი დღიდანვე ახალი ფულის მიღებას ამჯობინებენ. ახალი ფული სახმარად მოხერხებულია. ადამიანები გაღიმებულნი უჩვენებენ ერთმანეთს ახალ მონეტებს და გაცხოველებით საუბრობენ.

პირველ იანვარს თბილისელები მხიარულად ისვენებდნენ, სახელმწიფო ბანკის თბილისის საქალაქო განყოფილების მუშაკებს კი ამ დღეს დიდი და დაძაბული მუშაობა ჰქონდათ. დილის 8 საათიდან განყოფილებაში შეუდგნენ სავაჭრო, სატრანსპორტო ორგანიზაციებისა და კავშირგაბმულობის განყოფილებებისათვის ახალი ფულის მიცემას. ამავე დროს წარმოებდა ძველი ფულის შეცვლა ახლით. მაგალითად, მთავარმა ფოსტამტმა 720 ათასი მანეთი ძველი ფული 72 ათას მანეთ ახალ ფულზე შეცვალა. ქალაქის ტრამვაის, ტროლეიბუსისა და ავტობუსებისათვის გაიცა 2,000 მანეთი ხურდა ფული.

— ფულის გადაცვლით, — ამბობს სახელმწიფო ბანკის თბილისის საქალაქო განყოფილების მმართველი მ. ბოჭორიშვილი, — მკვეთრად იზრდება ლითონის ფულის მიმოქცევა. უამრავი ხურდა ფულის ხელით გადათვლა ძნელია, ამიტომ ჩვენს განყოფილებაში დადგმულია ხურდა ფულის გადასათვლელი ოთხი მანქანა. ეს მანქანები ფულს იღებენ დიდი ტომრებიდან, რომლებიც 1,000 მანეთის ხურდა ფულს შეიცავენ, და უფრო პატარა პარკებში ანაწილებენ, დათვლას მცირე დრო სჭირდება, თანხა კი აბსოლუტურად ზუსტი გამოდის. ქალაქში მოწყობილია ძველი ფულის ახალზე გადასაცვლელი 70 პუნქტი. ამ პუნქტებში გუშინ დილით მიიღეს ახალი ფული სახელმწიფო ბანკის რაიონული განყოფილებებიდან.

### რეპორტაჟი

ერთ-ერთი ასეთი პუნქტი, რომელიც მოწყობილია საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში, გუშინ დავათვალიერეთ. სალაროში ყველა ნიმუშის ახალი ფული იყო. მოლარე სოფიო მახარაძე ძველ ფულს სწრაფად ითვლიდა და ჯიხალ ფულს აძლევდა მომსვლელებს, რომელთა შორის იყვნენ ლექტორები, სტუდენტები და მომიჯნავე სახლების მცხოვრებნი.

გაცხოველებით მიმდინარეობდა საახალწლო ვაჭრობა სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზიებში.

მარჯანიშვილის ქუჩაზე ცენტრალური უნივერმაღი სავსეა ხალხით. თაროებზე ბევრი საქონელია — ტანისამოსი, ფეხსაცმელი, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები. ვიტრინასთან მყიდველები აკვირდებიან საქონლის იარლიყებს, რომლებზეც ნაჩვენებია ახალი ფასები.

მაგრამ ყველაზე მეტი მყიდველია გასტრონომიულ მაღაზიებში, განსაკუთრებით საკონდიტრო სექციებში.

თბილგასტრონომის № 15 დიდ მაღაზიაში პლეხანოვის პროსპექტზე გაცხოველებული ვაჭრობა იყო. მაღაზიაში დიდი ასორტიმენტით ჰქონდათ საქონელი — ძეხვეული, ყველი, კარაქი, ღვინო, არაყი და საკონდიტრო ნაწარმი, უამრავი კამფეტი, ტორტები და სხვა ტკბილეული. მარტო გუშინ მაღაზიამ მოსახლეობას ახალი ფულით 4.000 მანეთის კვების პროდუქტები მიჰყიდა.

გვიან ღამემდე მუშაობდნენ მაღაზიები. გაცხოველებული ვაჭრობა იყო. ხალხი საქონელს იძენდა ახალი წლის დღეებისათვის.

**ვლ. გინზბურგი.**

• • •

**სურათებზე 1. თბილგასტრონომის № 15 მაღაზიაში. 2. სახელმწიფო ბანკის თბილისის საქალაქო განყოფილების მთავარ სალაროში მოლარეები მ. სხირტლაძე და მ. იაგორაშვილი ცალკე პარკებში ანაწილებენ ხურდა ფულს. 3. გადასაცვლელ პუნქტზე საქართველოს ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.**

ფოტო ავტორისა.

# აკადემია იზრდება

**გაიმართა** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, მიძღვნილი ახალი ნამდვილი წევრების არჩევნებისადმი. ფარული კენჭისყრის შედეგად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებად არჩეული არიან:

**მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილებაში:** თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ნ. პ. ვეკუა (მათემატიკა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრების გამგეები გ. ს. **ჭოღოშვილი** (მათემატიკა), შ. ე. **მიქელაძე** (გამოთვლითი ტექნიკა), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი ვ. ი. **მამასახლისოვი** (ფიზიკა). პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი გ. ვ. **ციციშვილი** (ქიმია), გეოლოგიური ინსტიტუტის დირექტორი პ. დ. **გამყრელიძე** (გეოლოგია), მოსკოვის პროგნოზების ცენტრალური ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი თ. ფ. **დავითაია** (გეოგრაფია);

**ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებაში:** ბოტანიკის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ვ. ლ. **მენაბდე** (ბოტანიკა);

**მედიცინის მეცნიერებათა განყოფილებაში:** თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ი. ი. **ტატიშვილი** (ექსპერიმენტული მედიცინა), თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრების გამგეები პ. პ. **ქავთარაძე** (ექსპერიმენტული მედიცინა), ვ. ს. **ასათიანი** (ბიოქიმია);

**ტექნიკის მეცნიერებათა განყოფილებაში:** მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი ფ. ნ. **თავაძე** (მეტალურგია), სამშენებლო საქმის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ო. დ. **ონიაშვილი** (სამშენებლო მექანიკა);

**საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში:** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი პოეტი ი. ვ. **აბაშიძე**, შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი ა. გ. **ბარამიძე** (ქართული ლიტერატურის ისტორია), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ი. ს. **დოლიძე** (სამართლის ისტორია), ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გ. ა. **მელიქიშვილი** (ძველი ისტორია); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გ. ნ. **ჯიბლაძე** (ლიტერატურათმცოდნეობა).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

# ინდუსტრიული გიგანტი

**თბილისის** ცენტრიდან ზუსტად ერთი საათი დრო სჭირდება სწრაფმავალ სამარშრუტო ავტობუსს, რომ კაცი მიიყვანოს საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალი ინდუსტრიული სიამაყის — სასოფლო-სამეურნეო მანქანათა მშენებლო ქარხნის ტერიტორიამდე, თუმცა ეს ადგილიც ახლა ქალაქის ფარგლებში შედის.

სულ რამდენიმე წლის წინათ აქ შიშველი ველი იყო. მაგრამ აი იგი სამგორის სარწყავი სისტემის ერთ-ერთმა არხმა გადაკვეთა და წყალმა არა მარტო ველი გააცოცხლა, არა მარტო მცენარეებს აწოვა ძუძუ და ყვავილებით ააფერადა მიდამო, არამედ მტკიცე დასაბამი მისცა ამ რაიონში ინდუსტრიული საწარმოს განვითარებასაც.

ჩვენი დედაქალაქის ახალი ინდუსტრიული საწარმოების გასაშენებლად უფრო ხელსაყრელი ადგილის გამონახვა ძნელია, რკინიგზის სიახლოვე, ველის სილაღე, ქალაქის მასობრივი საცხოვრებელი უბნებისაგან ზომიერად დაშორება, ტექნიკური წყლის სიუხვე, — ყოველივე ამან შექმნა შესაძლებლობა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალი ინდუსტრიული სიამაყისათვის — სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო დიდი ქარხნისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს აქ მიეჩინა ადგილი.

მუშაობს ახლა ეს ქარხანა, გამართულად მუშაობს და 1961 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას უმზადებს საჩუქრებს — საბჭოთა კონსტრუქტორების მიერ შექმნილსა და ამ ქარხნის მუშების მიერ განხორციელებულ ისეთ გონებამახვილურ მანქანებს, რომლებიც დიდად გაახარებენ მესაქონლეობის ფერმების მუშებს, ვაზის მყნობელებს, მეაბრეშუმეებს და მათზე არანაკლებ ჩვენს მეჩაიეებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ქარხანა ახალი საწარმოა, ჯერ არა აქვს დიდი ტრადიციები, განიცდის საწარმოო ფართობისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის პარკის სიმცირეს, ქარხნის კოლექტივმა თავდადებული, შეწყობილი მუშაობით მაინც შეძლო 1960 წლის საწარმოო გეგმის დათქმულ ვადამდე შესრულება, საამაყო საწარმოო მაჩვენებლების მოპოვება. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი 25 დეკემბრის ნაცვლად წლიური საწარმოო დავალება აქ 20 დეკემბრისათვის შეასრულეს. ამავე რიცხვისათვის წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ათეულ ათასობით მანეთის პროდუქცია. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიიღეს 1 მილიონი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლებმა აითვისეს და 1961 წელს უშვებენ სამი ახალი სახის სასოფლო-სამეურნეო მანქანას, ხოლო მეოთხე მანქანა ათვისების პროცესშია.

საახალწლო ნობათს წარმოადგენს საკვებ-საფქვავი მანქანა. ეს მანქანა დაუფასებელია მესაქონლეობის ფერმაში. მისი საშუალებით შეიძლება ჩალა, თივა, ნედლი ბალახი, სიმინდის ტარო, ჰარხალი და საქონლის ყველა სხვა სახის საკვები დაქუცმაცდეს ისე, რომ საქონელმა იგი ხალისით შეჭამოს. დაქუცმაცებულ ჩალას ღეროს საქონელი დიდად ეტანება. შეიძლება ეს საკვები მანქანას ფაფად გავაკეთებინოთ, ასეთი საკვებ-საფქვავი მანქანების პირველი პარტია უკვე გამოშვებულია, მანქანებს დიდი წარმატებით იყენებენ მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ფერმებში.

**მნიშვნელოვანია** სამყნობი ნახევარავტომატი, ამ მანქანის შექმნის საჭიროება დაკავშირებულია საქართველოში მევენახეობის გაფართოების დიდ ამოცანასთან, ვენახების გასაშენებლად ახალი ფართობების ათვისებასთან. წარმოიდგინეთ მარტო სამგორის სარწყავი სისტემის სივრცეებზე — ათეულ ათასობით ჰექტარზე ვენახების გაშენების დაჩქარებას რაოდენ დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ამ მნიშვნელობას უკვე გარკვევით გრძნობენ თბილისელი მშრომლები, რომელთაც შემოდგომით ყოველთვის აქვთ საშუალება, რომ სუფრა ახალი ყურძნით დაიმშვენონ. გაივლის ცოტა დრო, და ყურძნის სიუხვე კიდევ უფრო საგრძნობი გახდება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ვენახის გაშენება ახალ ფართობებზე, გაიადვილებენ მევენახეები ამ ამოცანის შესრულებას, გამოიყენებენ ვაზის სამყნობ ნახევარავტომატებს.

მეაბრეშუმეებისათვის საჭიროა თუთის ხის პლანტაციები, ხოლო, აბრეშუმის ჭიის მოვლაში ყველაზე შრომატევადი სამუშაო თუთის ხეზე ფოთლის კრეფა და თუთის ხის ყლორტების გაცლაა. დიდხანს ფიქრობდნენ და დიდი შრომა გასწიეს ჩვენმა კონსტრუქტორებმა მეაბრეშუმეებისათვის ამ მხრივ დახმარების გასაწევად. შრომას და დახარჯულ ენერგიას ფუჭად არ ჩაუვლია. უკვე შექმნილია თუთის ხის ფოთლის და ყლორტებსაცლელი მანქანა-აპარატი, რომლის სერიულ გამოშვებას ამ ქარხნის კოლექტივი ახლა იწყებს.

ამ ქარხნის კოლექტივს კარგად აქვს შეგნებული თავისი მისია და მოვალეობა საქართველოს ეროვნული სიამაყის — ქართული ჩაის კულტურისა და მეურნეობის წინაშე.

— სულ ცოტა დახმარებაც რომ გავუწიოთ მეჩაიეებს, — ამბობს ქარხნის დირექტორი, პროფესიით მექანიკოსი ივანე ჟუჟუნაშვილი, — პატარა ხელშეწყობაც რომ აღმოვუჩინოთ,—ეს იქნებოდა ჩვენი შრომის გამართლება, ღირსებისა და სახელის ამაღლება. ამიტომ როდი უნდა იუცხოვოს კაცს, რომ როცა ჩაის მეურნეობისათვის მანქანების შესაქმნელად ნახაზებს მივიღებთ ხოლმე, მთელი კოლექტივი, ყველა პროფესიის და ყველა თანამდებობის ჩვენი მუშაკი ცდილობს დააჩქაროს ეს საქმე, სანიმუშოდ შეასრულოს თავისი ხვედრი სამუშაო მთელი თავისი ცოდნა, ოსტატობა, გამოცდილება ჩააქსოვოს ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ გასაყვანი მანქანების შექმნაში.

ქარხანაში გვიამბეს და დიდი პატივისცემის გრძნობით აღნიშნეს ის თავდადებული, პატრიოტული ენთუზიაზმით აღსავსე შრომა, რომელსაც იწევიან ზეინკლები არჩილ ციხისელი, ივანე ნარხოვი და რობ. ჯანიევი, ლითონმსხმელი გივი გერმანოზაშვილი და მღარავი ვლადიმერ კრასიკოვი, ხარატი ივანე პავლოვსკი და მათი საწარმოო უბნის უფროსი ინჟინერი არმაის ღარიბიანი ჩაის ბუჩქის საკულტივაციო მკვებავი მანქანის შესაქმნელად.

საკულტივაციო მკვებავი მანქანის საშუალებით ხორციელდება ჩაის ბუჩქის კულტივაცია და ამასთან ერთდროულად სასუქის შეტანა ნიადაგში; იგი წარმოადგენს სამთო ტრაქტორის (თვითმავალი შასის) საკიდ აპარატს.

მაგრამ მარტო ამით როდი შემოფარგლეს თავიანთი მხარდაჭერა და დახმარება მეჩაიეებისადმი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლებმა.

**ჩაის** მეურნეობაში ყველაზე შრომატევადი სამუშაო ჩაის ფოთლის კრეფაა. ვინ მოთვლის, რამდენი ენერგია დაიხარჯა, რამდენი შემოქმედებითი ძალა მოხმარდა ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაციის განხორციელებას და მხოლოდ ახლა, მრავალი წლის ძიებისა და შრომის შემდეგ, სხვადასხვა საკრეფი მანქანების შექმნისა და გადაკეთების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ მიღწეულია ერთგვარად დამაკმაყოფილებელი შედეგი, შექმნილია ისეთი მანქანები, რომლებმაც ასე თუ ისე გაამართლეს თავისი დანიშნულება.

ქარხნის კოლექტივს დაევალა ჩაის კრეფის მომავალი სეზონისათვის გამოუშვას და მეჩაიეებს მიაწოდოს ათობით ცალი ჩაის ფოთლის საკრეფი საკიდი მანქანა. ქარხანაში არავის აეჭვებს, რომ ეს დავალებაც პირნათლად იქნება შესრულებული.

ახალი წლიდან მანქანათმშენებლებს სხვა დიდი ამოცანებიც ეკისრებათ. ჩაის საკრეფი მანქანა თვითმავალი შასის „სშ-8 გ"-ს საკიდი აპარატია. მაშასადამე, საჭიროა საკიდ-საკრეფ აპარატთან ერთად მეჩაიეებს ექნეთ თვითმავალი შასიც, რომელიც იგივე სამთო ტრაქტორია.

გვინდა ერთი მიღწევაც აღვნიშნოთ; ქარხნის კოლექტივმა შეძლო ტრაქტორის (თვითმავალი შასი — „სშ-8 გ") თვითღირებულების შემცირება 14.000 მანეთით.

— 1961 წელი უნდა გადავაქციოთ ჩვენი საწარმოს გაფართოების, გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდის, წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლების წლიწადად, — ამბობს საწარმოს ხელმძღვანელი ამხ. ჟუჟუნაშვილი.

ასობით სამთო ტრაქტორს, ასევე ასობით ჩაის საკრეფ-საკიდ მანქანებს, 200 ცალ კულტივატორ-მკვებავს, 100 ცალ საკვებ-საფქვავ მანქანას მიიღებენ მიმდინარე წელს სოფლის მეურნეები ამ ქარხნის კოლექტივისაგან. გარდა ამისა, აქ შეუდგებიან ყველა ახლად ათვისებული მანქანების სერიულ გამოშვებას, მოგვცემენ 4 მილიონი მანეთის სათადარიგო ნაწილებს ნავთობსაძიებო ჭაბურღილების გათხრისათვის, 3 მილიონი მანეთის სათადარიგო ნაწილებს დიზელებისათვის და ა. შ.

ქარხნის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მანქანების ყველა საჭირო დეტალს წარმოებაში ამზადებენ, ეს დიდი საწარმოო გამარჯვებაა, რომელიც ქარხნის კოლექტივმა ძალიან მოკლე დროში მოიპოვა.

ქარხანას აქვს თავისი სიძნელეები. აკლია მუშა-ხელი. კადრებით საწარმოს დაკომპლექტება ჩვენში სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ სად წაიყვანონ ეს მუშები, სად მიუჩინონ მათ ბინა, როდესაც მშენებლები დაუშვებელ სიზანტეს იჩენენ ამ ქარხნის მახლობლად მუშათა საცხოვრებელი უბნის გაშენებაში, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომაც იცის და მანქანათმშენებლობის მისმა სამმართველომაც, რომ ამ უბანში შარშან 11 თვეში მშენებლებმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა მხოლოდ 38,1 პროცენტით შეასრულეს და კაპიტალდაბანდების თანხა აუთვისებელი დატოვეს.

ახლა რა მდგომარეობაა? მუშათა ერთი ნაწილი ქალაქიდან მრავალი ათეული კილომეტრის მანძილზე დადის, მეორე ნაწილი — სოფელ ლილოდან, მესამე— სოფელ მარტყოფიდან და, ცხადია, ასეთი დაშორებული ადგილებიდან მომსვლელთა შრომის ნაყოფიერება ისეთი არ იქნება, როგორიც უნდა იყოს.

**ქარხანა** მუშაობს, მაგრამ მისი მშენებლობა გრძელდება. სამწუხაროდ არც სამრეწველო მშენებლობა მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. 1960 წელს 11 თვეში 2.800 ათასი მანეთის ნაცვლად ძლივს 1.039 ათასი მანეთი აითვისეს. თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა საქარხნო კორპუსების მშენებლობა, საეჭვოა ამ ქარხნის სრული სიმძლავრით ამუშავება მოხერხდეს დათქმული ვადისათვის.

საქართველოს ეს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსამშენებლო ქარხანა ჩვენი მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ინდუსტრიული სიამაყეა. მეტი დახმარება სჭირდება მას, რათა მორიგი საწარმოო საჩუქრები მიუძღვნას მშობლიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის, შვიდწლედის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

**ზ. ჯამასპიშვილი,**
**დ. ლომთაძე.**

• • •

**სურათზე:** მექანიკურ-ამწყობი უბნის უფროსი ინჟინერი ა. ღარიბიანი (მარცხნიდან მეორე) მოწინავე ამწყობ-ზეინკლებს რ. ჯანიევს, ვ. მაქსიმოვს, ა. ციხისელს და ნ. დიკუნოვს აცნობს ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანის ნახაზებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# საქდესის განცხადება

27 დეკემბერს საფრანგეთმა განახორციელა საჰარაში ატომური ბომბის ახალი აფეთქება. ეს სათვალავით მესამე აფეთქება მოწმობს, რომ საფრანგეთის მთავრობა, ყველაფრის მიუხედავად, განაგრძობს ჯიუტობას გამალებული ატომური შეიარაღების თავისი საშიში პოლიტიკის განხორციელებაში. საფრანგეთის ატომური გამოცდები ეწყობა ეგრეთწოდებული ეროვნული „ატომური დარტყმითი ძალების" შექმნის პროგრამის განხორციელების წესით, რაც მთავრობამ მიაღებინა პარლამენტს ამას წინათ, მიუხედავად საფრანგეთის ფართო საზოგადოებრიობის ნებისა, რომელიც მოითხოვს განიარაღებასა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ამავე დროს საფრანგეთის მთავრობამ კვლავ ცხადყო, რომ არა სურს ანგარიში გაუწიოს აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხების ნებას, რომლებიც მოითხოვენ გამალებული ატომური შეიარაღების დაუყოვნებლივ შეწყვეტას და საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებას.

როგორც ცნობილია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს საფრანგეთს თავი შეიკავოს ატომური იარაღის გამოცდისაგან. მიუხედავად ამისა, საფრანგეთმა მიმდინარე წლის თებერვალ-აპრილში ორი ატომური აფეთქება განახორციელა. სულ ახლახან, 19 დეკემბერს, გენერალური ასამბლეის ახლანდელმა XV სესიამ მიიღო ახალი რეზოლუცია, რომელიც წინადადებას აძლევს ყველა სახელმწიფოს არ განახორციელონ ატომური გამოცდა. მესამე ატომური აფეთქების განხორციელებით საფრანგეთის მთავრობამ კვლავ აშკარად გამოამჟღავნა, რომ უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც გამოხატულია საერთაშორისო საზოგადოებრიობის ერთსულოვანი აზრი.

საფრანგეთის მთავრობის პოზიციას, რომელიც ასე საშიშია მშვიდობის საქმისათვის, სამართლიანად გმობენ მშვიდობისმოყვარე ხალხები და სახელმწიფოები. აფრიკის ქვეყნების ხალხები კანონიერ პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთი აფრიკის კონტინენტს აქცევს ატომურ პოლიგონად, აფრიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე მოითხოვდნენ ბოლო მოღებოდა აფრიკაში ატომური იარაღის გამოცდას და მოსპობილიყო რაკეტულ-ატომური ბაზები მის ტერიტორიაზე. საფრანგეთმა ყური არ ათხოვა აფრიკის ხალხების ამ სამართლიან მისწრაფებას, რომ აფრიკის ტერიტორია გამოცხადდეს ატომური და რაკეტული იარაღისაგან თავისუფალ ზონად. ამასთან ერთად მან კვლავ ცხადყო, რომ განზრახული აქვს აშკარა მუქარისა და დაშინების გზით შეინარჩუნოს საფრანგეთის კოლონიზატორთა პოზიციები აფრიკაში და, უწინარეს ყოვლისა, ალჟირში, რომელიც ინგრევა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დარტყმებით.

ახორციელებს რა ატომური იარაღის გამოცდას, საფრანგეთის მთავრობა აქტიურად აძლიერებს გამალებულ ატომურ შეიარაღებას. თუ მოვლენების ასეთი განვითარება არ შეჩერდა, მალე ატომური იარაღის მფლობელი სახელმწიფოები უკვე რამდენიმე ათეული იქნება და მაშინ გაცილებით უფრო გაძნელდება შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ და მით უმეტეს განიარაღების შესახებ. ამ ბოლო დროს გამოქვეყნებული ცნობები, რომ საფრანგეთი ისრაელს, რომელიც მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული ჯერ კიდევ ეგვიპტის წინააღმდეგ მათი ერთობლივი აგრესიის დროიდან, ეხმარება ატომური იარაღის შექმნის საქმეში, მოწმობს, რომ საფრანგეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა ჭაცობრიობა დააყენოს თავშეუკავებელი გამალებული შეიარაღების გზაზე და, გარდა ამისა, მაქსიმალურად გაართულოს შეთანხმების მიღწევა განიარაღების შესახებ.

მშვიდობის საქმისათვის და, უწინარეს ყოვლისა, ევროპის მშვიდობისათვის განსაკუთრებული საფრთხე ის არის, რომ გამალებული ატომური შეიარაღების პოლიტიკა, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა ახორციელებს, აადვილებს იმ მოთხოვნების რეალიზაციას, რომლებსაც დასავლეთ გერმანელი რევანშისტები და მილიტარისტები აყენებენ რაკეტულ-ატომური იარაღით ბუნდესვერის აღჭურვის შესახებ. საფრანგეთის მიერ ატომურ აფეთქებათა განგრძობა იმ პირობებში, როცა სხვა სახელმწიფოებმა ფაქტიურად შეწყვიტეს ატომური იარაღის გამოცდა, ამხილებს საფრანგეთის მთავრობის განცხადების სიყალბეს, რომ იგი ესწრაფვის განიარაღებას.

საფრანგეთის მიერ საჰარაში ატომური ბომბის ახალი გამოცდა ამასთან ერთად ამხილებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობათა ყალბ პოზიციას სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირზე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, სიტყვით მხარს უჭერენ რა ასეთი გამოცდის შეწყვეტას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობები საქმით ყოველნაირად აბრკოლებენ შეთანხმების მიღწევას ამ საკითხზე, რაც ფაქტიურად აქეზებს მათ მოკავშირეს ნატოში — საფრანგეთს განახორციელოს ატომგულის იარაღის შემდგომი გამოცდა.

ობიექტურად ამჟამად იქმნება ისეთი ვითარება, როცა დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ ჟენევის მოლაპარაკება ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ გამოიყენონ შირმად, რათა დაფარონ თავიანთი ობსტრუქციონისტული პოლიტიკა საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის მიმართ. პრეზიდენტმა დე გოლმა განაცხადა, რომ სურს განიარაღება დაიწყოს ატომგულის იარაღის მიტანის საშუალებათა მოსპობით და იმით, რომ არ იქნეს დაშვებული ამ საშუალებათა წარმოება, მაგრამ ეს აშკარად არ შეესაბამება საფრანგეთის მთავრობის კონკრეტულ საქმეებს, რომელიც განაგრძობს ატომური იარაღის გამოცდას.

თავის დროზე საბჭოთა მთავრობამ უკვე გააფრთხილა საფრანგეთის მთავრობა, რომ თუ დასავლეთის სახელმწიფოები განაგრძობენ ატომურ აფეთქებებს, საბჭოთა მთავრობას, ისე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს, არ შეუძლია არ გააკეთოს შესაბამისი დასკვნები თავისი უშიშროების უზრუნველსაყოფად. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ საფრანგეთის მოკავშირეები ნატოში — ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი არა თუ არ მიიღებენ ღონისძიებებს საფრანგეთზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა მან შეწყვიტოს ატომური იარაღის გამოცდა, არამედ არსებითად დუმილით მოიწონებენ ასეთ მოქმედებას, ამან შეიძლება სერიოზულად გააძნელოს შეთანხმების მიღწევა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემის — საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის მოწესრიგების შესახებ. ამაზე ბრალი მთლიანად დაეკისრებათ დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობებს.

# დამთავრდა ცეილონის კომპარტიის VI ყრილობა

**კოლომბო,** 31 დეკემბერი, (საქდესი). ცეილონის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ დაამთავრა მუშაობა. ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი 25 წევრის და 10 კანდიდატის შემადგენლობით და სხვა ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოები — საკონტროლო კომისია, სარევიზიო კომისია და პრესის საკითხთა კომისია.

ყრილობაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ცეილონის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პიტერ კეინემანმა.

ყრილობამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ენთუზიაზმით მიესალმება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირს და თათბირის მიერ მიღებულ განცხადებას და მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი.

ამ დოკუმენტებს, ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ, რადგან ეს დოკუმენტები კვლავ მოწმობენ მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის ურყევ ერთიანობას, ამდიდრებენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას და ფასდაუდებელ იარაღს აძლევენ ყველა მარქსისტულ-ლენინურ პარტიას, მათ შორის ჩვენს პარტიას.

ყრილობამ გადაწყვიტა პარტიის ყველა წევრს შორის მოაწყოს ამ დოკუმენტების მეტად ყურადღებით შესწავლა და განხილვა, რათა გააძლიეროს ბრძოლა ცეილონის კომუნისტური პარტიის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად.

ყრილობაზე გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება, რომელშიც ნათქვამია:

ცეილონის კომუნისტური პარტიის მეექვსე ყრილობას

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე ძმურ სალამს უთვლის ცეილონის კომუნისტური პარტიის მეექვსე ყრილობის დელეგატებს და მათი სახით ცეილონის ყველა კომუნისტს.**

**ცეილონის კომუნისტური პარტია, რომელიც ცეილონის მშრომელთა მასების მისწრაფებებსა და გრძნობებს გამოხატავს, მუშათა კლასის საქმისათვის, იმპერიალისტთა ხრიკების წინააღმდეგ, ცეილონის დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის ბრძოლის ავანგარდში მიდის.**

**მხურვალედ ვუსურვებთ ცეილონის კომუნისტურ პარტიას შემდგომ წარმატებებს თავისი ქვეყნის ხალხის ეკონომიური და სოციალური პროგრესისათვის, ყველა მშრომელის მოქმედების ერთიანობის მიღწევისათვის ბრძოლაში მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეების გასამარჯვებლად.**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

# ბელგიელი კომუნისტების პროტესტი

**პარიზი,** 31 დეკემბერი. (საქდესი). ბელგიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო უდიდესი პატივისცემით თავს ხრის ფრანსუა ვან დერ ტრაპენის — მუშა-მალარის წინაშე, რომელიც ჟანდარმერიამ მოჰკლა ბრიუსელის ქუჩებში დემონსტრაციის დროს, ნათქვამია კომპარტიის პოლიტბიუროს გუშინ გამოქვეყნებულ კომუნიკეში.

პოლიტბიურო მტკიცე პროტესტს აცხადებს ჟანდარმერიის მხეცობის წინააღმდეგ და მთავრობას აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას მომხდარი უბედურებისათვის.

კომპარტიის პოლიტბიურო მოითხოვს მთავრობისაგან ჟანდარმერიისა და არმიის ძალების დაუყოვნებლივ საყოველთაო გაყვანისა და „ეკონომიის" კანონის გაუქმებას. მთავრობა, ხაზგასმულია კომუნიკეში, უნდა გადადგეს.

პოლიტბიურო მოუწოდებს მუშებს განაგრძონ ბრძოლა თავიანთი უფლებებისათვის და წუთიერი დუმილით პარლამენტსა და მთელ ბელგიაში 3 იანვარს პატივი სცენ დაღუპული მუშის ხსოვნას.

# თავდასხმა არტინ მადოიანზე

**პარიზი,** 1 იანვარი. (საქდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბეირუთიდან იუწყება, რომ გუშინ ლიბანის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე თავს დაესხნენ ლიბანის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, კომუნისტ არტინ მადოიანს. იგი მძიმედ დაიჭრა, როცა უცნობმა პირებმა ავტომატური იარაღის სროლა აუტეხეს ავტომანქანას, რომელშიც მადოიანი იმყოფებოდა. თავდამსხმელები 25-ზე მეტი გასროლის შემდეგ მიიმალნენ. მადოიანი მიყვანილია საავადმყოფოში.



საფრანგეთის მოსახლეობა პროტესტს აცხადებს საფრანგეთის ტერიტორიაზე ბონის ბუნდესვერის ქვეგანაყოფების განლაგების წინააღმდეგ.

სურათზე: ქალაქ ორანჟში საპროტესტო მიტინგის მონაწილენი.

ფოტო ფატერლაუსისა (ცენტრალბილდი).

## საერთაშორისო ცხოვრება

### დღევანდელი ცნობები მიმოხილვა

### საფრანგეთი ცეცხლს ეთამაშება

### კუბა ამხელს მოსალოდნელ აგრესიას

### ბონი იძულებულია უკან დაიხიოს

### შემთხვევითი ომის შანსი იზრდება

### პატრიოტული ძალების წარმატება ლაოსში

# რაულ როას წერილი ვ. ა. ზორინისადმი

**ნიუ-იორკი,** 1 იანვარი, (საქდესი). კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ როამ წერილი გაუგზავნა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს—სსრ კავშირის მუდმივ წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინს. წერილში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები გაერთიანებული ერების წესდების ძირითადი პრინციპებისა და საერთაშორისო სამართლის უაღრესად ელემენტარული პრინციპების აშკარა დარღვევით აპირებენ უახლოეს საათების განმავლობაში განახორციელონ პირდაპირი შეიარაღებული აგრესია კუბის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ, რაც დიდ საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას.

საბაბი, რომელსაც ყალბად აყენებენ საერთაშორისო მეკობრეებისათვის ამ ტიპიური მოქმედების განსახორციელებლად, არის „კუბის კუნძულზე საბჭოთა რაკეტების გასაშვები 17 დანადგარის აგება", როგორც ეს უმაღლესი ცინიზმით ნათქვამია შეერთებული შტატების მთავრობის კონფიდენციალურ ნოტაში, რომელიც გაეგზავნა ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობებს. კუბის მთავრობას აქვს ცნობები ამ ავბედითი გეგმის შესახებ, რომელიც შეიმუშავა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ პენტაგონთან და ჩრდილოეთ ამერიკის მონოპოლიებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელთა ინტერესები შელახა კუბის რევოლუციის მიერ ხალხის საკეთილდღეოდ მიღებულმა კანონებმა, აგრეთვე აშკარა თანამშრომლობით კუბელ სამხედრო დამნაშავეებთან, რომლებიც იმალებიან ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე, დაქირავებულ აგენტებთან, ავანტიურისტებთან, ჯაშუშებთან, დივერსანტებთან და ყველა ჯურის ტერორისტებთან, აგრეთვე დასავლეთის ნახევარსფეროს ქვეყნების მთელ რიგ მარიონეტულ მთავრობებთან.

მოახლოებული სამხედრო ინტერვენცია დამთავრებაა დევნის, ზეგავლენის, ძალადობის, ყველა ფრონტზე ძირგამომთხრელი მოქმედებისა და აგრესიის პოლიტიკისა, რასაც შეერთებული შტატების მთავრობა ახორციელებს კუბის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ იმ მომენტიდან, რაც სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ დოქტორ ფიდელ კასტროს მეთაურობით დაამხო ბატისტას სასტიკი მტაცებლური და გამყიდველი ტირანიული რეჟიმი, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში სჩადიოდა ყველა წარმოსადგენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ დანაშაულობას სახელმწიფო დეპარტამენტის, პენტაგონის, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, გამოძიების ფედერალური ბიუროს და მსხვილი კონცერნების წაქეზებით და მხარდაჭერით, რომლებიც დაუსჯელად ძარცვავდნენ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს და იგი პოლიტიკურად, ეკონომიურად, ფინანსურად და დიპლომატიურად გადააქციეს უცხოეთის სახელმწიფოზე დამოკიდებულ ტერიტორიად.

დევნის, ძირგამომთხრელი მოქმედების, აგრესიისა და ინტერვენციის ამ პოლიტიკის ნამდვილი მოტივები და მიზნები ის არის, რომ დათრგუნონ კუბის სახელმწიფოს სუვერენული ნება და ამგვარ ყალბ მტკიცებათა საშუალებით კვლავ დაიმორჩილონ კუბელი ხალხი, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა.

წერილის დასასრულს რაულ როა ითხოვს, რომ დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული უშიშროების საბჭო, რათა განიხილოს შექმნილი მდგომარეობა.

# ვაშინგტონი ინიღბება

### ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

**ჰანოი,** 31 დეკემბერი. (საქდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით უარყოფს ლაოსელ მეამბოხეთა რადიოს ცნობას იმის შესახებ, რომ ლაოსის ტერიტორიაზე შევიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარები. ამ ცნობას უარყოფს როგორც მოგონილ ცნობას, რომელიც მიზნად ისახავს შენიღბოს და კიდევ უფრო გააფართოოს ამერიკელ იმპერიალისტთა და სეატოში მათ მოკავშირეთა ინტერვენცია ლაოსში.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია განცხადებაში, მოითხოვს, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა და მათმა მოკავშირეებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ აგრესია ლაოსის წინააღმდეგ, და მთელ პასუხისმგებლობას ამ აგრესიული მოქმედებიდან გამომდინარე შედეგებისათვის აკისრებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და იმ ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც შეერთებულ შტატებს ემხრობიან.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კვლავ მოითხოვს დაუყოვნებლივ მოიწვიონ ჟენევის 1954 წლის თათბირის მონაწილე ქვეყნების თათბირი და განაახლონ ლაოსის მეთვალყურეობისა და კონტროლის საერთაშორისო კომისიის საქმიანობა ლაოსის ხალხის ინტერესებისათვის და ინდოჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებისათვის.

## უშიშროების საბჭოს მომავალი სხდომა

**ნიუ-იორკი,** 2 იანვარი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინა იუწყება, რომ 4 იანვარს გაიმართება უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც განიხილავს კუბის განცხადებას იმის შესახებ, რომ მის სუვერენიტეტს აგრესია მოელის ამერიკის შეერთებული შტატებისაგან.

# ტელეგრაფი გვატყობინებს

## „საახალწლო საჩუქრები" შვეიცარელ ხალხს

**ჟენევა, 31 დეკემბერი. (საქდესი). შვეიცარიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საფრანგეთში იყიდოს „მირაჟ 111" ტიპის 100 რეაქტიული თვითმფრინავი. შვეიცარიის გაზეთები იუწყებიან, რომ ეს შვეიცარიას დაუჯდება 1 მილიარდი ფრანკი (შვეიცარიის წლიური ბიუჯეტის თითქმის მესამედი).**

**სოციალისტური გაზეთის „პეპლის" ცნობით, სამხრეთ აფრიკის კავშირში ნაყიდი 100 ტანკიდან 47 ტანკი „ცენტურიონი" მალე მოვა შვეიცარიაში. გაზეთი „მირაჟ 111" ტიპის თვითმფრინავებისა და ტანკების „ცენტურიონის" ყიდვას უწოდებს „საახალწლო საჩუქრებს" შვეიცარელი ხალხისადმი".**

## სისხლი, სიკვდილი, დაპატიმრება

**მეხიკო, 1 იანვარი. (საქდესი). 30 დეკემბერს 13 დემონსტრანტი მოკლეს, 87 დასჭრეს და რამდენიმე ასეული დააპატიმრეს ქალაქ ჩილპანსინგოში (გერეროს პროვინცია), იუწყება მექსიკის პრესა. ჯარებმა სროლა დაუწყეს დემონსტრანტებს, რომლებიც პროტესტს აცხადებდნენ იმის წინააღმდეგ, რომ შტატის გუბერნატორი ბოროტად იყენებს ძალაუფლებას.**

**გერეროს შტატში ფაქტიურად შემოღებულია საალყო წესები.**

# კუბა მოითხოვს...

**ნიუ-იორკი,** 1 იანვარი. (საქდესი). კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ როამ გუშინ საღამოს მოითხოვა უშიშროების საბჭოს სხდომის დაუყოვნებლივ მოწვევა და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არიან რამდენიმე საათში განახორციელონ სამხედრო აგრესიის აქტი კუბის წინააღმდეგ.

ჰავანიდან ნიუ-იორკში ჩამოსულმა რაულ როამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს დეკემბერში ვ. ა. ზორინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოითხოვა, რომ უშიშროების საბჭომ მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა არ დაარღვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს — კუბის რესპუბლიკის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა.

# თეთრი სახლი უარყოფს

**ნიუ-იორკი,** 31 დეკემბერი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან იუწყება, თეთრმა სახლმა უარყო კუბის გაზეთების ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მომზადებულია კუბაში ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის შეჭრის გეგმები.

# იმპერიალისტები ცდებიან, კუბას ვერ დააჩოქებენ

### ფიდელ კასტროს გამოსვლა

**ჰავანა,** 2 იანვარი (საქდესი). 31 დეკემბერს ღამით ჰავანაში ათი ათასზე მეტი კაცის წინაშე, რომელნიც ახალი წლის შესახვედრად შეიკრიბნენ სასკოლო ქალაქის სპორტულ მინდორზე, გამოვიდა კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო.

პრემიერ-მინისტრმა მხურვალედ მიულოცა ყველა დამსწრეს, და მთელ კუბელ ხალხს ახალი წელი და დაწვრილებით ილაპარაკა იმაზე, რომ ამერიკის დაზვერვის სამსახურს, რომელსაც ალენ დალესი მეთაურობს, შეუმუშავებია კუბის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია, გეგმა, რომლის განხორციელებასაც იმპერიალისტები აპირებენ უახლოეს დღეებში, სანამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ხელისუფლება კენედის მთავრობას გადაეცემოდეს.

აღნიშნა რა, რომ რევოლუციურმა მთავრობამ ცნობები კუბის წინააღმდეგ აგრესიის გეგმის შესახებ სარწმუნო წყაროებიდან მიიღო, ფიდელ კასტრომ წაიკითხა ცნობა, რომელშიც ნათქვამია, რომ ურუგვაის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში თავის მთავრობას წარუდგინა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მოხსენება იმის შესახებ, რომ კუბაში შენდება ატომურმუხტიანი რაკეტების გასაშვები 17 ბაზა ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. ეს მოხსენება გაეგზავნა ლათინური ამერიკის სხვა მთავრობებსაც. ცხადია, თქვა ფიდელ კასტრომ, რომ ეს მთავრობები გააკეთებენ შემდეგ დასკვნას: საჭიროა დაუყოვნებლივ განახორციელონ მოქმედება, რათა ხელი შეუშალონ ასეთი ბაზების მშენებლობას კუბაში.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ასეთი თავაწყვეტილი სიცრუით, აღნიშნა კასტრომ, ამერიკის შეერთებული შტატები მიაღწევენ იმას, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების ყველა მთავრობა მოიქცეს ისე, როგორც მოიქცა პერუს მთავრობა ე. ი. გაწყვიტონ კუბასთან ურთიერთობა და მოიწონონ შეერთებული შტატების მოქმედება კუბის მიმართ.

კასტრომ ხაზი გაუსვა, რომ რევოლუციური მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თავიდან აიცილოს შეერთებული შტატების პირდაპირი შეიარაღებული აგრესია, რაც კუბას მოელის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, თქვა მან, გაიგზავნა კუბის საგარეო საქმეთა მინისტრი რაულ როა, რათა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე ამხილონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული გეგმა; მთავრობამ მოუწოდა კუბელ ხალხს, კუბის მთელ რევოლუციურ ძალებს დაიკავონ საბრძოლო მზადყოფნის პოზიცია, რათა მათ მოუმზადებელს არ მიუსწრონ, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, განაგრძო კასტრომ, რათა იმპერიალისტებს შევაგნებინოთ, რომ დიდად ცდებიან მდგომარეობის შეფასებაში. ჩვენ მოვალენი ვართ და კიდევაც დავიცავთ თავს, სანამ ძალა შეგვწევს. ჩვენ ვამხილებთ, თქვა მან შემდეგ, ამ წარმოუდგენელ სიცრუეს რაკეტების შესახებ, ჩვენ არაფერი არ ვიცით მათ შესახებ.

იმპერიალისტებს ომები სურთ, თქვა კასტრომ, ისინი ცხოვრობენ და მდიდრდებიან ომებით. მაგრამ ხალხებს ომი არა სურთ. კუბელ ხალხს არ სურს ომი მაგრამ ასევე შეიძლება ითქვას, რომ თუ კუბამ აგრესია განიცადა, კუბელები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ. ვერაფერი ვერ შეაჩერებს ჩვენს ხალხს, ხალხი უძლეველია. კუბის რევოლუციური მთავრობა და ხალხი ერთიან მწყობრში დგანან სამართლიანი საქმის დროშის ქვეშ. ხალხი და მთავრობა შეიკრიბნენ აქ, რათა ერთხელ კიდევ განაცხადონ: სამშობლო ან სიკვდილი! ჩვენ გავიმარჯვებთ!

კასტრომ ილაპარაკა განათლების საკითხებზე და თქვა, ახალი, 1961 წელი კუბაში „განათლების წელი" იქნებაო, რევოლუციამ, აღნიშნა კასტრომ, ყველა უდიდესი სამხედრო ციხე-სიმაგრე და ყაზარმა სკოლად გადააქცია. ამჟამად ბატისტას ტირანიის ყოფილ სამხედრო ციტადელებში 40 ათასი ბავშვი სწავლობს. როცა რევოლუციამ გაიმარჯვა, კუბაში 23 ათასი მასწავლებელი იყო; რევოლუციის ორი წლის მანძილზე მათი რიცხვი 33 ათასს გახდა. ახლა კუბაში ერთი კუთხეც არ მოიძებნება, რომ მასწავლებელი არ იყოს.

კუბა, ხაზი გაუსვა კასტრომ, პირველი ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში, სადაც 100 პროცენტით დაკმაყოფილებულია სასკოლო განათლების მოთხოვნილება. საუკუნე ნახევრის მანძილზე, თქვა მან, ექსპლოატატორულმა ოლიგარქიებმა და სამხედრო ხროვებმა ვერ შეძლეს იმის გაკეთება, რაც კუბის რევოლუციამ ორ წელიწადში გააკეთა.

რევოლუციურმა მთავრობამ და ხალხმა, განაგრძო კასტრომ, დაისახეს მიზნად ერთ წელიწადში მთლად აღმოფხვრან უწიგნურობა თავიანთ ქვეყანაში. მხოლოდ რევოლუციას ძალუძს გადაწყვიტოს ეს ამოცანა მარტო ერთ წელიწადში. ღრმად გვწამს, რომ ერთი წლის შემდეგ შევძლებთ ვუთხრათ მთელ მსოფლიოს: კუბაში არ მოიპოვება არც ერთი ადამიანი, რომ არ იცოდეს წერა-კითხვა.

ახალი წლის შეხვედრას დაესწრნენ კუბის მთავრობის წევრები, კუბის რევოლუციური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კუბელი მასწავლებლები, აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ბევრი სტუმარი.

# ორივე გერმანული სახელმწიფოს ინტერესებისათვის

**ბერლინი,** 31 დეკემბერი. (საქდესი), გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდი" დღეს კომენტარს უკეთებს ორივე გერმანული სახელმწიფოს დელეგაციათა გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ 1961 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის სავაჭრო შეთანხმება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ გააუქმა ბონის მთავრობამ.

„ნოიეს დოიჩლანდი" იმედს გამოთქვამს, რომ ეს შეთანხმება ხელს შეუწყობს ურთიერთობის გაუმჯობესებას გერმანიაში.

„ნოიეს დოიჩლანდი" ხაზგასმით აღნიშნავს გადამწყვეტ მნიშვნელობას, რომელიც შეთანხმების განახლების დროს ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულბრიხტის მოლაპარაკების შედეგებს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ აღუთქვეს, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას მიაწვდიან მასალებს, რომლებიც მას დასჭირდება იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა გერმანიის შინავაჭრობა დასავლეთ გერმანიის მხრივ.

# ჰარიმანი — თეთრი სახლის ელჩი

**ნიუ-იორკი,** 31 დეკემბერი, (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი პალმ-ბიჩიდან (ფლორიდის შტატი) იუწყება, რომ პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში ავერელ ჰარიმანი დანიშნა „ელჩად დიდმნიშვნელოვანი სპეციალური დავალებების შესრულებისათვის საზღვარგარეთ".

განცხადებაში ამ დანიშვნის შესახებ ნათქვამია, რომ „სპეციალურ ელჩად ყოფნის დროს ჰარიმანი შეასრულებს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის დიდმნიშვნელოვან სპეციალურ დავალებებს, რისთვისაც საჭიროა წარმომადგენელი, რომელიც პრეზიდენტის სრული ნდობით სარგებლობს და კარგად იცის შეერთებული შტატების პოლიტიკის ყველა ასპექტი".

# ლაოსის ამბები

**ჰანოი,** 31 დეკემბერი, (საქდესი). ლაოსის მთავრობის ჯარები პატეტ-ლაოს ძალების ურთიერთმოქმედებით კვლავ ძლიერ უტევენ მეამბოხეთა ჯარებს, ამბოხებული გენერლის ფუმი ნოსავანის მკვეხარა განცხადების მიუხედავად, იმის შესახებ, რომ მისი ჯარები „წარმატებით მიიწევენ წინ" ვიენტიანის ჩრდილოეთით, სინამდვილეში, ისინი გააჩერეს დედაქალაქის ჩრდილოეთით ფა-ხონგის პუნქტთან. მიღებული ცნობებით, ლაოსის ჩრდილოეთ ნაწილს მთლიანად კონტროლს უწევენ პატეტ-ლაოს ძალები და მთავრობის ჯარები.

ლაოსის ჩრდილოეთ პროვინციაში ფონგ-სალიში, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ ფუმი ნოსავანის აგენტებმა სცადეს გამოეწვიათ აღელვება და მთავრობის ჯარები გადაებირებინათ მეამბოხეთა მხარეზე, სავსებით აღდგენილია წესრიგი. პრინცმა სუფანუვონგმა უბრძანა პატეტ-ლაოს ძალების სარდლობას მჭიდროდ ითანამშრომლონ ამ რაიონში მთავრობის ჯარებთან, დაამყარონ პროვინციაში ერთობლივი მართვა, რომელიც დაექვემდებარება ლაოსის კანონიერ მთავრობას პრინც სუვანა ფუმას მეთაურობით.

# 1961 წელს მარცხი და უიმედობა? არა!

**ნიუ-იორკი,** 1 იანვარი. (საქდესი). გონივრული ატომური პოლიტიკისათვის ბრძოლის ეროვნულმა კომიტეტმა მოუწოდა ოთხი ატომური სახელმწიფოს ხელმძღვანელებს განახორციელონ ახალ წელს ღონისძიებანი განიარაღებისათვის.

წერილში ამერიკის შეერთებული შტატების ახლად არჩეული პრეზიდენტის ჯ. კენედის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის, პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანის და პრეზიდენტ შ. დე გოლის მიმართ, ნათქვამია, რომ „გამალებული შეიარაღების ახლანდელი ფაზა მეტად საშიშია, შემდგომი ფაზა კი უფრო საშიში იქნება. შემთხვევითი ომის შანსი დღითიდღე მატულობს იმის კვალობაზე, რაც უფრო მეტი ქვეყანა იღებს ატომურ იარაღს".

კომიტეტს მიაჩნია, რომ „მტკიცე ღონისძიებათა განხორციელებით" 1961 წელს შეიძლება მივაღწიოთ, კერძოდ, შემდეგს: დავდოთ ხელშეკრულება ატომური იარაღის დიდი გამოცდის აკრძალვისა და ინსპექციის გონივრულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ; მივაღწიოთ შეთანხმებას მცირე ატომური გამოცდის მორატორიუმის შესახებ, სანამ იგი არ იქნება შეტანილი ხელშეკრულებაში; მივაღწიოთ შეთანხმებას დეკლარაციის შესახებ, რომელიც ავალებს ატომურ სახელმწიფოებს იბრძოლონ საყოველთაო და კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღებისათვის, როგორც უშუალო მიზნისათვის; დავიწყოთ ახალი მოლაპარაკება იმაზე, რომ დაიდოს ხელშეკრულება კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების შესახებ.

„თუ ამ საკითხებში შესაძლებელი გახდა ნამდვილად დაიწყოს საქმე, ხაზგასმულია წერილში, მაშინ მსოფლიოს საფუძველი ექნება გაიხაროს და იმედი იქონიოს, რომ 1961 წელი, 1960 წლისაგან განსხვავებით, იქნება მიღწევების წელი და არა მარცხისა და უიმედობის წელი".

# პრეზიდენტ დე გოლის გამოსვლა

**პარიზი,** 1 იანვარი, საქდესის კორესპონდენტები ა. ბარანოვი და გ. დრაგუნოვი იუწყებიან:

საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა გუშინ საღამოს რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა საახალწლო სიტყვა, რომელიც ფაქტიურად იყო მტკიცე მოწოდება ფრანგებისადმი მოიწონონ 8 იანვრის რეფერენდუმზე მთავრობის კანონპროექტი ალჟირის მართვის ორგანიზაციის შესახებ და ამით მოიწონონ მთავრობის ახლანდელი პოლიტიკა ალჟირში.

იგი აშინებდა ფრანგ ამომრჩევლებს „საშინელი შედეგებით" საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, თუ ისინი უარყოფენ ამ კანონპროექტს, და განაცხადა, რომ ეს იქნებოდა „ლახვარი", რომელიც ხელს შეუშლიდა მას განეგრძო თავისი ამოცანის შესრულება.

დე გოლმა ვერაფერი სანუგეშო ვერ უთხრა ფრანგებს 1961 წლის წინ, რომელიც როგორც მან თქვა, „არ იქნება მშვიდი".

ილაპარაკა რა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, რომელიც „აზიის, აფრიკისა და ამერიკის ბევრ ხალხს მოედო", მან ისე დახატა საქმე, თითქოს საფრანგეთის მთავრობა „კეთილი ნებით", და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შეტევით დათანხმდა დამოუკიდებლობა მიეცა თავისი ყოფილი კოლონიებისათვის.

დე გოლის სიტყვა შეიცავდა უხეშ ცილისმწამებლურ გამოხდომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტმა კვლავ ბრალად დადო „კოლონიალიზმი".



— ახტუნგ, ახტუნგ! სიმშვიდე და წესრიგი!

ნახატი ი. ქენტელისა ჩეხოსლოვაკიურ სატირულ ჟურნალ „დიკობრაზიდან".

კომუნისტი

მე-3 გვერდი. სამშაბათი, 3 იანვარი, 1961 წ.

ჩვენი კალენდარი

# ხალხის მეგობარი

გარდაიცვალა ხალხის მეგობარი, რუსეთის გამოჩენილი ოფთალმოლოგი — ლეონარდ ლეოპოლდის-ძე ჰირშმანი, — ასე იუწყებოდა გაზეთებში უკრაინის სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი 1921 წლის 3 იანვარს.



მართლაც ლ. ჰირშმანი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა თავის ხალხს, იბრძოდა მათი სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის.

იგი დაიბადა 1839 წლის 13 მარტს. 16 წლისა იყო, რომ ოქროს მედლით დაამთავრა ხარკოვის გიმნაზია და შევიდა ხარკოვის უნივერსიტეტში. 1861 წლიდან თითქმის ხუთი წლის განმავლობაში ლ. ჰირშმანი საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ისმენდა გამოჩენილ მეცნიერთა ლექციებს, მუშაობდა და თეორიულ ცოდნას განამტკიცებდა საუკეთესო ლაბორატორიებში პრაქტიკული მუშაობით.

1866 წელს ლ. ჰირშმანი ხარკოვს დაბრუნდა. ამ პერიოდისათვის ხარკოვის უნივერსიტეტში ოფთალმოლოგიის კურსი ცალკე არ იკითხებოდა. ლ. ჰირშმანმა 1868 წელს დისერტაციის დაცვის შემდეგ მიაღწია იმას, რომ ოფთალმოლოგია გამოეყოთ თეორიული ქირურგიიდან. მალე ლ. ჰირშმანმა შექმნა ცალკე კლინიკა და მუშაობდა პროფესორის თანამდებობაზე.

1905 წელს სტუდენტთა მღელვარების შემდეგ ლ. ჰირშმანს შეტაკება მოუხდა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრთან გლაზოვთან, რის გამოც იძულებული იყო თანამდებობიდან გადამდგარიყო.

1906 წელს ხარკოვის საქალაქო სათათბიროში ავადმყოფებმა შეიტანეს წინადადება, რომ ჰირშმანი დარჩენილიყო ხარკოვში, შეექმნათ მისთვის თვალის კლინიკა. ეს წინადადება მიღებულ იქნა. 1908 წელს ხარკოვში გაიხსნა თვალის საავადმყოფო. ამ საავადმყოფოში ჰირშმანი მოღვაწეობდა სიკვდილამდე. ამჟამად ამ შენობაში მოთავსებულია პროფესორ ლ. ჰირშმანის სახელობის ოფთალმოლოგიის ინსტიტუტი.

ჰირშმანის პოპულარობა მეტად დიდი იყო, მას იცნობდნენ არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც. მასთან მოდიოდნენ ავადმყოფები რუსეთის შორეული მხარეებიდან. ავადმყოფის მკურნალობის საქმეში იგი იმდენ სითბოს იჩენდა, რომ მისგან ყოველი ავადმყოფი მოხიბლული მიდიოდა. ალბათ ეს იყო იმის მიზეზი, რომ მან თავის სიცოცხლეში შეძლო მიეღო ავადმყოფთა კოლოსალური რაოდენობა. ჰირშმანის სახელობის მუზეუმში ინახება ამბულატორიული ჟურნალები, ისინი იუწყებიან, რომ პირადად მის მიერ მიღებულ ავადმყოფთა რიცხვი მილიონს აღწევს.

პროფესორი ჰირშმანი იყო უბადლო ქირურგი, კლინიცისტი, მეცნიერი. იგი რუსეთის გამოჩენილ მოღვაწედ ითვლება არა მარტო სამკურნალო მოღვაწეობით, მეცნიერული ნაშრომებით, არამედ, როგორც მასწავლებელი, მან გამოზარდა მთელი რიგი გამოჩენილი ოფთალმოლოგები, რომლებიც მოღვაწეობდნენ მთელ რუსეთში. მათ რიცხვში იყვნენ ჩვენი თანამემამულენი გ. ტარსაიძე, პროფესორი ვ. მუსხელიშვილი და ექიმი ტ. თოფურიძე.

პროფესორი ჰირშმანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო იმ დროს ხარკოვში არსებულ ყველა სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, ჟურნალ „ვრაჩებნოე დელოს" რედაქტორი, უსინათლოთა სასწავლებლის ორგანიზატორი და თავმჯდომარე.

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ რომ გაიმარჯვა, ჰირშმანი უკვე 78 წლის იყო. საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მისი მოღვაწეობა. პროფესორ ჰირშმანის სახელი მიკუთვნებული აქვს ლენინგრადისა და უკრაინის სსრ ცენტრალურ ოფთალმოლოგიურ ინსტიტუტებს.

**ი. სიხარულიძე,**
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

**ა. ჩაგელიშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# საახალწლო ზეიმზე

საათმა თორმეტჯერ დაჰკრა. ძველი წლის უკანასკნელი ფურცელი ჩამოეცალა კალენდარს.

დადგა ახალი, 1961 წელი, ახალგაზრდა, მხნე, ბედნიერი, სიხარული და მხიარულება დაგვიბედა მან ოჯახებში, „ასე ტკბილად დაგვიბერდით", გვეუბნება ახალი წელი და გოზინაყითა და ტკბილეულით გვიმასპინძლდება, „იმრავლეთ, იხარეთ", — ჩაგვაგონებს იგი....

გავაცილეთ ძველი წელი, ახალს კეთილი მოსვლა მივულოცეთ. მაგრამ ცუდი როდი იყო ჩვენთვის 1960 წელი. მან ბევრი კარგი მოუტანა ჩვენს ქვეყანას. აშენდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, სკოლები, ინტერნატები. დიდ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, ლაბორატორიები. დამშვენდა და უფრო მიმზიდველი გახდა რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები. ველარ იცნობთ დედაქალაქ თბილისს. გამშვენიერდა, უფრო კეთილმოწყობილი გახდა გორგასალის ნაფუძარი, 1.500 წლის, მაგრამ მარად ჭაბუკი ქალაქი. აშენდა მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლი, ახალ წელს რომ გააჩირაღდნეს ილიჩის ნათურებმა.

ახალმა წელმა ტრადიციული საჩუქარი მოართვა ჩვენს პატარებს. ათასფრად ბრჭყვიალებს საახალწლო ნაძვისხე, რომელსაც სიმღერითა და ცეკვით გარს უვლის ბედნიერი თაობა. მართალია, ნამდვილი თოვლი ჯერ არ მოუტანია „თოვლის პაპას", მაგრამ მას საყვედური მაინც არ ეთქმის. კოხტად მოურთავთ საახალწლო ნაძვისხე თბილისის სახელმწიფო ცირკში, ამიერკავკასიის რკინიგზელის სახლში, გორკის სახელობის კლუბში და სხვაგან, მხიარულობენ, ბედნიერად ატარებენ არდადეგების დღეებს ჩვენი ნორჩები.

ცეკვა-თამაში, სიმღერა გაუჩაღებიათ. სიცოცხლე, სიხარული იგრძნობა მათ ყოველ მოძრაობაში.

მობრძანდით, გვეწვიეთ ამ საახალწლო ზეიმზე!

**ო. აროგელიძე.**

• • •

სურათზე: კახა, ლალი და მადონა საახალწლო ნაძვის ხესთან რკინიგზელის სახლში. პლეხანოვის პროსპექტზე. ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

## ლიტერატურა და ხელოვნება

### ვარლამ ჟურული

### დავლოცეთ...

ბავშვებმა ნაძვისხეს აუნთეს სანთელი,
ლამაზად ბრჭყვიალებს ნაირი ფერები.
შტოებზე ქათქათებს ბამბა თუ ფანტელი,
უმზერენ, ტკბებიან სულ ბედნიერები.

ახალ წელს ამშვენებს ღიმილი, ხალისი,
ჩვენ მისი სტუმრობა საათმაც გვახარა.
თეთრითაც, წითლითაც შევავსეთ სასმისი,
დღეს ლხინში ტოლია ნორჩი და ჭაღარაც.

დავლოცეთ ხალხი და ცაფირუზ ქვეყანა,
ვუსურვეთ მშვიდობა, ბრწყინვალე მერმისი.
მამულის ტრფიალმა სალხენად შეგვყარა,
სიტყვა და სიმღერაც ვთქვით შესაფერისი.

დავლოცეთ მშრომელთა ალალი მარჯვენა,
ვაზით და ნარინჯით ნახატი მთა-ბარი,
ვადიდეთ, ვინც ქართლის ცისკარი გვაჩვენა,
და გულიც იმით გვაქვს იმედით გამთბარი.

ემატოს ოჯახებს აკვანი ქართული,
გახშირდეს ქორწილი, მოყვრობა, ძმობა.
ემატოს შენობის სართულებს სართული,
ერს — გმირი შვილები,
სამშობლოს — მზეობა.

ქართველმა მკითხველმა ახლახან მიიღო ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა მეორე ტომი. ჩვენმა კორესპონდენტმა სთხოვა პროფესორ **დავით გამეზარდაშვილს** მოეთხრო, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ნ. ნიკოლაძის თხზულებათა გამოსაცემად. მან განაცხადა:

— დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერალ ნ. ნიკოლაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისათვის მზადებას 1955 წელს შევუდექით. ოთხი წლის მანძილზე ძირითადად მოხერხდა ნ. ნიკოლაძის ნაწერთა ბიბლიოგრაფიის დაზუსტება, გამოვლინდა უამრავი ახალი მასალა, გაიხსნა მწერლის ახალი ფსევდონიმები. ამჟამად შეკრებილია ნ. ნიკოლაძის თითქმის ყველა ნაწარმოები.

მიმდინარე წელს გამოვიდა ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მეორე ტომი. უახლოეს ხანში მკითხველი მიიღებს პირველ და მესამე ტომებს. მომავალში ყოველწლიურად გამოიცემა ორ-ორი ტომი, სულ გამოვა 15 ტომი (პირად წერილებს გარდა, რომლის შეკრებაზე ამჟამად ვმუშაობთ).

# აზრის საგანძური

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ პროფესორ დავით გამეზარდაშვილის რედაქციით გამოსცა გამოჩენილი ქართველი სამოციანელის, ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა მეორე ტომი.

ტომში შესული მასალები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის დალაგებული. წიგნში მოთავსებულია 87 სახელწოდების წერილი, ფელეტონი, კრიტიკულ-პოლიტიკური წერილი თუ ნარკვევი, რომლებიც ნ. ნიკოლაძეს ორი წლის მანძილზე (1870-1871) დაუწერია. ტომში შესული მასალების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაბეჭდილია პირველი წყაროების მიხედვით. ნ. ნიკოლაძის პირადი არქივის მდიდარი ფონდის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად აღდგენილია მთელი რიგი წერილების თავდაპირველი სახე, გასწორებულია ცენზურული დამახინჯებანი, შეტანილია სტილისტური ხასიათის შესწორებები.

ნ. ნიკოლაძის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მსოფლმხედველობის შესწავლის საქმეში ამ ბოლო ჟამს მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, დღემდე არა გვაქვს ნ. ნიკოლაძის თხზულებათა სრული კრებული.

ამ ხარვეზის ამოსავსებად პირველი ნაბიჯი სამი ათეული წლის წინათ გადადგა ქართული კულტურის გამოჩენილმა მკვლევარმა პროფესორმა სიმონ ხუნდაძემ. სამწუხაროდ, უდროო სიკვდილმა ხელი შეუშალა ბოლომდე მიეყვანა ეს კარგი წამოწყება. მან მოასწრო ნ. ნიკოლაძის მხოლოდ რჩეული ნაწერების ორი ტომის გამოცემა, რომლებსაც წამუძღვარა ვრცელი გამოკვლევა, სათანადო შენიშვნებით და განმარტებებით.

მისასალმებელია, რომ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და ქართული ლიტერატურის კათედრებმა ითავეს ნ. ნიკოლაძის ყველა ნაშრომის შეკრება და გამოსაცემად მომზადება.

სარედაქციო კოლეგიამ საფუძვლიანად შეისწავლა ნ. ნიკოლაძის პირად არქივში დაცული მასალა, ამობეჭდა ქართულ, რუსულ, უცხოურ პერიოდულ ორგანოებში მოთავსებული წერილები, შეაჯერა არქივში დაცულ დედნებთან, დაადგინა მთელი რიგი წერილების ნ. ნიკოლაძისეული კუთვნილება, აღადგინა ცენზურის მიერ დამახინჯებული ბევრი წერილი, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგა მასალები და გამოსაცემად მოამზადა ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მეორე ტომი, რომელიც სიხარულით მიიღო მკითხველთა ფართო წრემ.

ტომში შესული მასალების თუნდაც ერთი თვალის გადავლება სრულ წარმოდგენას იძლევა ნ. ნიკოლაძის უდიდეს ცოდნაზე. ღრმა განსწავლულობა, ხალასი ნიჭი, განსაცვიფრებელი შრომისმოყვარეობა და განზოგადების დიდი ძალა საშუალებას აძლევდა მას ეპოქის „ფიქრთა მფლობელი" ყოფილიყო, პასუხი გაეცა ცხოვრების მიერ აღძრულ ყველა საჭირბოროტო საკითხზე.

ტომში თავმოყრილი ნაშრომები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ერთნი აშუქებენ საქართველოს საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებას, ეკონომიურ ყოფას, იდეურ-კულტურულ ძვრებს, ყოფაცხოვრებითს ამბებს, მეორენი — ეხმაურებიან საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალურ პრობლემებს.

ამ წერილების ნაწილში, რომლებიც მშობლიური ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებისადმია მიძღვნილი, გაშუქებულია საქართველოს ცხოვრებაში მომხდარი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული ძვრები. ნ. ნიკოლაძე, როგორც დიდი პატრიოტი და პროგრესული მოაზროვნე, მიესალმება ამ ძვრებს, იგი მედგრად იბრძვის ეროვნული აღორძინების გზაზე არსებულ ზღუდეებს და ულმობლად ამათრახებს ძველი ყოფის დამცველთ. ის მოუწოდებს ახალგაზრდობას მთელი თავისი ცოდნა და უნარი მოახმაროს სამშობლო ქვეყნის განახლების საქმეს, იყოს ეროვნული აღორძინების პიონერი. იმ წერილებში, რომლებშიც ეკონომიურ საქმიანობას, საბანკო საქმეს და სოფლის მეურნეობის განვითარების გზებს ეხება, ნ. ნიკოლაძე თანმიმდევრულად ქადაგებს საკუთარ ეკონომიურ-საფინანსო და აგრარულ პროგრამას.



მახვილი კალამი და მკვეთრი პოლემიკური სტილი ჰქონდა ნ. ნიკოლაძეს. იგი შეუპოვარ და თანმიმდევრულ პოლემიკას ეწეოდა თავის იდეურ მოწინააღმდეგეებთან, განურჩევლად იმისა, თუ რომელ „დასს" ეკუთვნოდნენ ისინი.

ბატონყმობის გაუქმებამ და საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებამ ძველი ყოფის კალაპოტიდან ამოაგდო მრავალრიცხოვანი ქართველი თავადაზნაურობა. ნ. ნიკოლაძე კარგად ხედავს თავადაზნაურობის სრულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ზნეობრივ დაცემას. ხედავს, როგორ დაკარგა მან ისტორიული დანიშნულება და გამართლება ახალი ცხოვრების პირობებში. იგი ერთგვარად თანაუგრძნობს ამ წოდებას მისი განწირულობის გამო, ცდილობს გამონახოს ისეთი გზა, რომელიც შეუნარჩუნებდა მას სახეშეცვლილ არსებობას, შეაგუებდა ახალ ვითარებასთან და განახლებული ცხოვრების სასარგებლო მწარმოებელ ძალად აქცევდა.

ამავე ტომში გამოქვეყნებულია ნ. ნიკოლაძის წერილი ერობასა და მის მნიშვნელობაზე, რომლებშიც იგი ეწევა თვითმმართველობის პროპაგანდას და მას ჩვენი სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის მშვიდობიანი გარდაქმნის მნიშვნელოვან იარაღად მიიჩნევს.

დიდი შემეცნებითი და იდეურ-თეორიული ღირებულება აქვს ტომში შესულ წერილებს „კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში", „კრებულის" დანიშნულებაზე", „დიკენსი და თეკერეი". ამ წერილებით იგი თანმიმდევრულად ავითარებს ე. წ. „შეუფერავი რეალიზმის" პრინციპებს. მკვეთრად მიუთითებს ხელოვნების, ლიტერატურის, პერიოდული პრესის დიდ სოციალურ დანიშნულებას. ნ. ნიკოლაძე თანმიმდევრულად ავითარებს რადიკალურ-პროგრესულ, რევოლუციურ-დემოკრატიულ თვალსაზრისს ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე. მატერიალისტურად ხსნის ბუნების მოვლენებს, ბევრგან ოსტატურად იმარჯვებს დიალექტიკის პრინციპებს, მატერიალისტურ აზრს ავითარებს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

ახალი ცხოვრებისათვის გამოღვიძებული ქართული საზოგადოებრიობა, მისი მოწინავე ნაწილის სახით, დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს საერთაშორისო ურთიერთობის ამბებს და საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორიული ვითარების საკვანძო მოვლენებს. ქართველ ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღრმავება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთების დანერგვა მეტად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ხანგრძლივმა ცხოვრებამ ნ. ნიკოლაძეს საშუალება მისცა ღრმად და საფუძვლიანად შეესწავლა საზღვარგარეთული ცხოვრება, ბევრი რამის მხილველი და უშუალო მონაწილე ყოფილიყო. მან რევოლუციურ-დემოკრატიული თვალსაზრისით გააშუქა საფრანგეთ-პრუსიის ომი, მისი მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები, ამბების მთელი ის რთული კომპლექსი, რომელიც ამ ომთან იყო დაკავშირებული. ამასთან ერთად გამოავლინა ისტორიული მოვლენების სიღრმეში ჩაწვდომის დიდი ალღო და საფრანგეთის ცხოვრების საფუძვლიანი ცოდნა.

მეტად საინტერესოა ტომში გამოქვეყნებული ის წერილები, რომლებშიც ნ. ნიკოლაძე საფუძვლიანად მიმოიხილავს გერმანიის იმპერიის განვითარების გზებს. გაერთიანებულ იმპერიაში გაბატონებული რეაქციულ-მილიტარისტული სულისადმი ზიზღი, ჰოჰენცოლერნთა დამქაშების აბუჩად აგდებული ხალხისადმი ღრმა თანაგრძნობა წითელი ზოლივით გასდევს ნ. ნიკოლაძის წერილებს მაშინდელ ევროპაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ წერილებს, რომლებითაც ნ. ნიკოლაძე გამოეხმაურა პარიზის კომუნას, წერილებში „პარიზის რევოლუცია", „რა არის კომუნა", „ჩემი სამახსოვრო წიგნიდან", და ფელეტონში „ერთი ტელეგრამის წაკითხვაზე" იგი ვრცლად მოუთხრობს მკითხველს ამ დიდ მოვლენაზე. მართალია, მან ვერ შეძლო და არც შეეძლო მეცნიერულად აეხსნა პარიზის კომუნის მთელი სოციალური არსი, მაგრამ ალღოთი იწინასწარმეტყველა მისი იდეების გარდუვალი გამარჯვება მომავალში.

საერთოდ ნ. ნიკოლაძის თხზულებათა მეორე ტომში გამოქვეყნებულ წერილებს არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა, არამედ სერიოზული შემეცნებითი ღირებულებაც აქვთ. ბევრი მათგანი დღესაც გვხიბლავს თავისი სიცხოველით, აზრის სიღრმით, შემოქმედებითი გაქანებით, პროგრესული იდეების თანმიმდევრული ქადაგებით, პოლიტიკური სიმახვილით და მეცნიერული კეთილსინდისიერებით.

ვუსურვოთ ამ კარგი თაოსნობის ორგანიზატორებს ბოლომდე მიეყვანოთ დაწყებული საქმე და უმოკლეს დროში ქართველი საბჭოთა მკითხველი საზოგადოებისათვის მიეწოდებინოთ ნ. ნიკოლაძის თხზულებათა ჯეროვნად დამუშავებული ყველა ტომი.

**დოცენტი ვ. დონაძე.**

## „საქართველოს კომუნისტი" № 12

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიულ და პოლიტიკურ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" 1960 წლის უკანასკნელი, მეთორმეტე ნომერი.

ნომერში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — დიად თარიღს — ღირსეული შეხვედრა; **ი. კოდუა** — საბჭოთა კავშირის მთლიანი ელექტროფიკაციის ლენინური გზით; **რ. წულუკიძე** — პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეხამება სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში; **გ. ჟვანია** — ლენინური გაზეთი „ისკრა".

**საქართველოს კომპარტიის დაარსებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის:** **ი. კაჭარავა** — საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის; **ნ. მუსხელიშვილი** — ქართული საბჭოთა მეცნიერება ორმოცი წლის მანძილზე; **ვლ. თორდუა** — ჰიმნი შრომისა.

**ეკონომიური სკოლებისა და წრეების მსმენელთა დასახმარებლად:** **ნ. იაშვილი** — კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენების გზები.

**პარტიული ცხოვრება:** **ფ. მახარაძე** — უკეთ მოვაწყოთ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა; **შ. ჯაფარიძე** — რას გვაძლევს კადრების ეკონომიური სწავლება.

**წერილები და კორესპონდენციები:** **ე. დანელია** — ახალი შრომითი წარმატებებით ვუპასუხოთ მშობლიური პარტიის მზრუნველობას.

**ჟურნალებისა და გაზეთების მიმოხილვა:** **ს. ჯორბენაძე** — სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე.

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:** **პ. გუჯაბიძე, გ. თევზაძე** — დიალექტიკური ლოგიკის შესახებ.

ჟურნალში დაბეჭდილია აგრეთვე **საძიებელი** 1960 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებისა.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით განხორციელდა ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილება.

თიანეთის რაიონის ცენტრი — სოფელი თიანეთი გარდაიქმნა დაბად, თიანეთის სასოფლო საბჭო კი თიანეთის სადაბო საბჭოდ.

ჩხოროწყუს რაიონის ცენტრი — სოფელი ჩხოროწყუ გარდაიქმნა დაბად, ჩხოროწყუს სასოფლო საბჭო კი ჩხოროწყუს სადაბო საბჭოდ.

ყვარლის რაიონის ცენტრი — სოფელი ყვარელი გარდაიქმნა დაბად, ყვარლის სასოფლო საბჭო კი ყვარლის სადაბო საბჭოდ.

რედაქტორის მოადგილე
**გ. ვარდოსანიძე.**

## 20 წელი შეუსრულდა

**ჭიათურა,** 2 იანვარი. (საქინფორმი?) (საქდესი). ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს მუშათა კლუბთან არსებულმა ლიტერატურულმა წრემ განიხილა ამავე მაღაროს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მექანიკოსის — დამწყები მწერლის შ. აბაშიძის ნაწარმოებები, მისი შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა მაღაროთსამმართველოს ელექტროზეინკალმა რ. ჩაჩანიძემ. მაღაროელებმა საყურადღებო შენიშვნები მისცეს მწერალს. უფრო ადრე ლიტერატურულმა წრემ განიხილა ამავე მაღაროთსამმართველოს ცვლის უფროსის გ. წერეთლის ნაწარმოებები.

ხშირად აწყობენ ლიტერატურულ საღამოებსა და დამწყები მწერლების ახალ ნაწარმოებთა განხილვას სტალინის სახელობის მაღაროს მუშათა კლუბთან არსებული ლიტერატურული წრის წევრები, რომელიც უკვე თითქმის 20 წელია არსებობს.

## ეკრანზეა „ჩემი სოფელი"

ჩვენში მრავალი სოფელია, რომლებმაც თავისი დოვლათითა და სილამაზით შორს გაითქვეს სახელი. ასეთი სოფლების რიცხვს ეკუთვნის მარტყოფი. სოფელი, რომელსაც წარსულში ბევრი ჭირ-ვარამი უნახავს, ბევრი აწიოკება და ნგრევა განუცდია და ახლა აყვავებულა და გაძლიერებულა.

მარტყოფის წარსულსა და აწმყოს გვიჩვენებს ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიის კინონარკვევი „ჩემი სოფელი", (სცენარის ავტორები მ. მათიაშვილი, ი. კანდელაკი.), რომელიც სტუდიის მუშაკებმა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს მიუძღვნეს.

პირველივე კადრებიდან მაყურებელი ეცნობა სოფლის ისტორიას. მარტყოფელთა წარსული დუხჭირი ცხოვრების ამსახველი სურათების საჩვენებლად რეჟისორი ი. კანდელაკი იყენებს მის მიერ ფერეიდანში გადაღებულ დოკუმენტურ მასალებს. აი მარტყოფელთა შთამომავალნი დაკონკილ-დაძონძილები. საშინელ სილატაკეში მცხოვრები ქართველები, რომლებიც ბედის უკუღმართობამ სამშობლოდან შორეულ ქვეყანაში გადახვეწა. ესენი არიან 1614 წელს მრისხანე შაჰ-აბაზის მიერ მარტყოფიდან გადასახლებულთა შთამომავალნი. შიმშილი, სიტიტვლე, უმეცრება — აი რა არის მათი ხვედრი.

აბა ჩვენი მარტყოფელების ბავშვებსაც გადახედეთ. რა ლაღად და მხიარულად თამაშობენ ისინი სკოლის ეზოში. მათთვის შექმნილია ყველა პირობა სწავლისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ფერეიდანში კი მარტყოფელთა შთამომავალი ბავშვები ღია ცისქვეშ წელიწადის მხოლოდ სამ თვეს სწავლობენ ქართული ანბანის საშუალებით უცხო სპარსულ ენას.

ძველი, პრიმიტიული წესით ხნავენ სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი გლეხები მიწას, თავზე ზედამხედველი ადგათ და უწყალო ცემა-ტყეპით უსწორდება მათ.

აბა ამის საპირისპიროდ ნახეთ ჩვენი მარტყოფელი კოლმეურნეების ცხოვრება. კეთილმოწყობილი ფერმები, საფრინველეები, კომბაინები, ტრაქტორები, რა არა აქვთ აქაურ კოლმეურნეებს. ოჯახებში შეიხედეთ — ძვირფასი ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები. რამდენ აქაურს აქვს მიღებული უმაღლესი განათლება, ახლა სოფელსაც რომ ემსახურებიან და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხესაც.

ორიგინალურად არის მოთხრობილი ფილმში კოლმეურნეთა მიღწევები.

ფილმში ბევრია ოპერატორ ბ. კრეპსის მიერ გადაღებული ლამაზი კადრები — სოფლის დოვლათის მაჩვენებელი სურათები, ახალმშენებლობები და სხვ.

ფილმის წარმატებას ხელს უწყობს კომპოზიტორ მერი დავითაშვილის მელოდიური მუსიკა.

**ლ. ხუბულური.**

სურათზე: კადრები ფილმიდან „ჩემი სოფელი".

კომუნისტი სპორტი

## ჰასტინგსის ტურნირზე

**ლონდონი,** 2 იანვარი. (საქდესი). ჰასტინგსში გრძელდება ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი. ხუთი ტურის შემდეგ ლიდერობენ გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 3, 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ლიტლვუდი (ინგლისი) — 3 ქულა, ბონდარევსკი (სსრ კავშირი) — 2,5 ქულა და ორი გადადებული პარტია, ლოიდი (ინგლისი) — 2,5 ქულა, კლარკი (ინგლისი) — 2,5 ქულა და საბო — 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

## ვლასოვი — ევროპის საუკეთესო სპორტსმენი

**ვარშავა,** 2 იანვარი. (საქდესი). პოლონეთის პრესის სააგენტომ მოაწყო საახალწლო ანკეტა ევროპის 15 დეპეშთა სააგენტოს, მათ შორის საქდესის, ფრანს პრესის, რეიტერის სპორტულ ჟურნალისტებს შორის ევროპის ათი საუკეთესო სპორტსმენის გამოვლინებისათვის. იური ვლასოვმა მიიღო ყველაზე მეტი ქულა და პირველი ადგილი დაიკავა ამ სიაში.

შემდეგი ადგილები უკავიათ: სპრინტერს არმინ ჰარის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), საბჭოთა მძლეოსანს პეტრე ბოლოტნიკოვს, რუმინელ სპორტსმენს იოლანდა ბალაშს, პოლონელ მძლეოსანს იუზეფ შმიდტს, საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ბორის შახლინს, თხილამურებით ცნობილ მხტომელს ჰელმუტ რეკნაგელს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), პოლონელ სტაიერს ზდისლავ კშიშკოვიაკს, იტალიელ სპრინტერს ლივიო ბერუტის და ოლიმპიელ ჩემპიონს წყალში ხტომაში ინგრიდ კრამერს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

## წაქაძე იმარჯვებს გარმიშში

**ბერლინი,** 2 იანვარი. (საქდესი). ტრადიციული „ოთხი ტრამპლინის ტურნირი" გაიმართა გარმიშ-პარტენკირხენში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ამ შეჯიბრებაში საუცხოო შედეგს მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა კობა წაქაძემ, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მან ორჯერ უჩვენა საუკეთესო შედეგი — 84 და 83 მეტრი. მეორე ადგილზე გამოვიდა ჰელმუტ რეკნაგელი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) და მესამეზე — ნილო ზანდანელი (იტალია). ნიკოლოზ კამენსკი გამოვიდა მეხუთე ადგილზე, იური ზუბარიოვი — მერვეზე და ნიკოლოზ შამოვი — მეცხრე ადგილზე.

ორ ტრამპლინზე შეჯიბრების შემდეგ წინ არის იუხანი კიარკინენი (ფინეთი). შემდეგი ადგილები უკავიათ კობა წაქაძესა და ჰელმუტ რეკნაგელს.

## ამინდი

4 და 5 იანვარს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი;

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ალაგ-ალაგ ნისლი, სუსტი ქარი;

## ფეხბურთის ტრანსლაცია ზოგიერთი მზარეულის წარმოდგენით



ნახევარდამცველმა ზუსტად გაჭრა ბურთი...

თავდამსხმელმა კარგად დაამუშავა და...

დარტყმა, დარტყმა, კიდევ დარტყმა...

მოწინააღმდეგის კარის შტურმი გრძელდება...

## კინოფილმების ფესტივალი

**რკინიგზის** სამტრედიის განყოფილებაში მიმდინარეობს ტექნიკური კინოფილმების ფესტივალი.

რკინიგზელები კინოფილმების ჩვენების დაწყებამდე ინტერესით ისმენენ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების ლექციებს, მოხსენებებს ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის დაცვის საკითხებზე. განსაკუთრებით საინტერესო იყო რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მთავარი ინჟინრის ლ. ჩაჩანიძის, ბათუმის საორთქმავლო დეპოს უფროსის მ. ფირცხალავას, რკინიგზის ფოთის სადგურის უფროსის ბ. ნიქაბაძის და სხვების ლექციები შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის შესახებ.

ფესტივალის დღეებში რკინიგზელებმა ნახეს ტექნიკური კინოფილმები: „მაღალი ბაძგა", „სახიფათო ნაბიჯები", „ერთ დეპოში", „იყავით ყურადღებით" და სხვა, რომლებსაც 4.000-ზე მეტი რკინიგზელი დაესწრო.

**ნ. მანჯგალაძე.**

3 იანვარი

**თეატრები:** რუსთაველის სახელობის — ბახტრიონი (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — დაჭრილი არწივი (დღისით), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მედიდე ქალი (დღისით), სახიფათო ასაკი (საღამოს, მე-11 აბონ. მე-2 წარმ.), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — გაზაფხულის სიმღერა (დღისით), რაც გინახავს, ველარ ნახავ.

**ტელევიზია:** 12.00 — საზეიმო კონცერტი — „სალამი მეგობრებს", 12.40 — თქვენი თხოვნით, მეგობრებო! სატელევიზიო ფილმი „ტამბუ-ლამბუ", 18.30—საერთაშორისო მიმოხილვა, 18.50 — კინონარკვევი, 19.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.40 — ახალი ამბები, 20.50 — ახალი მხატვრული ფილმი — „ადამიანი პლანეტიდან დედამიწა".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-68-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, ილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-61-42.

უე 03801. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14. 1